



**საქართველოს სახალხო დამცველი  
პრევენციის ეროვნული მექანიზმი**

**სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელაღსრულების  
დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და  
ჰაუპტვახტებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ.  
2010 წლის პირველი ნახევარი**

2010 წელი  
[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

**სარჩევი:**

<b>შესავალი</b> .....	3
<b>არასათანადო მოპყრობა</b> .....	4
1. დაკავების დროს ძალის გადამეტება .....	7
2. არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელადსრულების დაწესებულებებში.....	13
<b>მდგომარეობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში</b> .....	17
1. პატიმრობის პირობები .....	17
2. ხანძარი ქსნის დაწესებულებაში.....	21
3. პატიმართა მიღება და განთავსება .....	21
4. გადატვირთულობა .....	22
5. რესოციალიზაცია .....	23
სოციალური სამსახური.....	25
განათლება.....	27
პატიმართა დასაქმება .....	28
კონტაქტი გარე სამყაროსთან.....	29
6. რეჟიმი .....	34
7. დისციპლინა და დასჯა .....	35
8. საკანონმდებლო ცვლილებები .....	36
<b>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორები</b> .....	42
1. მოპყრობა .....	43
2. საყოფაცხოვრებო პირობები.....	45
3. სუფთა ჰაერზე ყოფნა.....	47
4. კვება .....	49
5. სამედიცინო მომსახურება.....	49

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ეროვნული პრევენციის მექანიზმის სტატუსით სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2010 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ჰაუპტვახტებში. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელდა 36 გეგმური და 170 არაგეგმური ვიზიტი, რა დროსაც მონახულეულ იქნა 500–დე პატიმარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში – 43 გეგმური და 25 არაგეგმური ვიზიტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში განხორციელდა 10 გეგმური ვიზიტი.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციულ ჯგუფს არცერთ დაწესებულებაში არ შექმნია პრობლემა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების დროს. ისინი დაუბრკოლებლად შედიოდნენ დაწესებულებებში და შესაძლებლობა ჰქონდათ, კონფიდენციალურად გასაუბრებოდნენ დაკავებულებს/პატიმრებს. ყველა დაწესებულების ადმინისტრაცია სრულად თანამშრომლობდა მონიტორინგის ჯგუფთან და შეძლებისდაგვარად აწვდიდა მას მოთხოვნილ ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, ასევე, აძლევდა ზეპირ ახსნა–განმარტებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ტიპის დახურული დაწესებულების ინფრასტრუქტურა საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, აშენდა და გარემონტდა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, გარემონტდა არაერთი დროებითი მოთავსების იზოლატორი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონირებას კვლავ განაგრძობს ის დაწესებულებები, რომლებიც არანაირ განახლებას არ ექვემდებარება და რომლებშიც განთავსებული პირები, დაწესებულებებში არსებული მძიმე პირობებიდან გამომდინარე, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ ვითარებაში იმყოფებიან. აღნიშნული არ შეეხება ჰაუპტვახტებს – მხოლოდ ის ჰაუპტვახტები ფუნქციონირებს, რომლებიც ახლად არის აშენებული და მეტ–ნაკლებად აკმაყოფილებს სტანდარტებს. გორის, ბათუმის და ახალციხის ჰაუპტვახტებმა ფუნქციონირება შეწყვიტა 2010 წლის დასაწყისში.

მონიტორინგმა კვლავ გამოავლინა არასათანადო მოპყრობის შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. რაც შეეხება დროებითი მოთავსების იზოლატორებს, უკანასკნელი წლების მანძილზე არასათანადო მოპყრობის ფაქტები არ გამოვლენილა. სამაგიეროდ პრობლემას წარმოადგენს დაკავებისას პოლიციის მიერ ძალის გადაყენება – აღნიშნული დასტურდება როგორც დაკავებულთა მიერ, ასევე პირის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეყვანისას გაკეთებულ ჩანაწერებში მათი გარეგნული დათვალიერების შესახებ.

კვლავ არასათანადოდ მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ფაქტების გამოძიება – საგამოძიებო მოქმედებები, უმეტეს შემთხვევებში, ტარდება ფორმალურად, ხშირად არ

ინიშნება სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა ან ინიშნება და ტარდება დაგვიანებით, როდესაც დაზარალებულს უკვე აღარ ემჩნევა დაზიანებები.

## **I არასათანადო მოპყრობა**

უკვე მრავალი ათეული წელია, ცივილიზებული სამყარო ცდილობს, სრულყოფილი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის აღმოფხვრის მექანიზმები.

საქართველოშიც წლების მანძილზე არაერთი ნაბიჯი გადაიდგა წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღმოფხვრისათვის – ხელი მოეწერა წამების საწინააღმდეგო არაერთ საერთაშორისო დოკუმენტს, წამების საწინააღმდეგო კონვენციის ხელმოწერის შემდგომ შეიცვალა ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემული წამების დანაშაულის დეფინიცია და იგი გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციაში მოცემულ დეფინიციას მიუახლოვდა, დასახელდა და შეიქმნა პრევენციის ეროვნული მექანიზმი და ა.შ. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის წამება საქართველოში არ წარმოადგენს სისტემურ პრობლემას, თუმცა კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი იმისთვის, რომ წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის ფაქტები სრულად აღმოიფხვრას.

წამების აღმოფხვრის თვალსაზრისით ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი წარმოადგენს, რომელმაც პირველად მოახდინა საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების სინქრონიზაცია.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ზემოაღნიშნული ოქმის შედეგად უკვე არაერთ ქვეყანაში ჩამოყალიბდა. საქართველოში პრევენციის მექანიზმის ფუნქციები, სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2009 წლის 16 ივლისიდან სახალხო დამცველს დაეკისრა. აღნიშნული მექანიზმი ერთ–ერთი ყველაზე ქმედუნარიანი და ეფექტური სისტემაა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციისა და აღმოფხვრის თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული ინსტიტუციების ინტენსიური მონიტორინგია. აღნიშნული, პირველ რიგში, მიზნად ისახავს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციას და არა უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირებას. თუმცა, ხშირია შემთხვევებიც, როდესაც სახალხო დამცველს და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს უკვე მომხდარზე უწევს რეაგირება და სამართალდამცავი ორგანოებისთვის წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე ინფორმაციის მიწოდება.

გამომიება, მათ შორის, წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება, პროკურატურის პრეროგატივას წარმოადგენს. სახალხო დამცველის ფუნქცია ამ თვალსაზრისით ინფორმაციის მიწოდებით ან მოპოვებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროცესუალური ხასიათის რეკომენდაციების მიცემით შემოიფარგლება. სახალხო დამცველი მოკლებულია საშუალებას, გავლენა მოახდინოს ფაქტების კვალიფიცირებაზე და საქმის გამომიების არსებით ასპექტებზე.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, რაც დაკავშირებულია არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამომიებასთან, სწორედ მათი არასწორი კვალიფიკაციაა – ხშირად გამომიება იწყება არა წამების ან დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, რაც სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენს და გაცილებით უფრო მსუბუქ სანქციას ითვალისწინებს.

ევროსასამართლომ საქმეში „რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>1</sup> აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქმედება თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც არ იყო სრულიად აუცილებელი ამ პირის საქციელის გამო, ლახავს მის ადამიანურ ღირსებას და პრინციპში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. სასამართლო ასევე, აცხადებს, რომ გამომიების ჩატარების სიმძიმე და დამნაშავეობასთან ბრძოლის უდავო სირთულე არ უნდა გახდეს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის შეზღუდვის საფუძველი.

პრობლემად რჩება არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამომიებაც, რაც ყველაზე მეტად უშლის ხელს წამების აღმოფხვრას, რადგან ქმნის დაუსჯელობის სინდრომს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებში და წარმოქმნის რისკს, რომ მსგავსი ქმედებები კიდევ განმეორდება. სწორედ ამის გამო ევროსასამართლომ არაერთხელ განმარტა, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომ წამების არაეფექტური, გაჭიანურებული და არაადეკვატური გამომიება უკვე თავისთავად წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დარღვევას, მიუხედავად იმისა, წარმოადგინა თუ არა მოსარჩელემ საკმარისი არგუმენტები და მტკიცებულებები თავად წამების ფაქტის დასადასტურებლად.<sup>2</sup>

ჩვენს მიერ მოპოვებული ბოლოდროინდელი ინფორმაცია და სხვადასხვა მასალებისა და ცალკეული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურატურა, ხშირ შემთხვევებში, ზერელედ ეკიდება დაკავებული პირების წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის შემცველი ქმედებების გამომიების საკითხს და ამგვარი ქმედებების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებს. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ამგვარ ფაქტებს აკვალიფიცირებს არა როგორც წამებისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებრივ ქმედებებად, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად ან ცემად. ამგვარ საქმეებზე გამომიება თითქმის ყოველთვის ატარებს ფორმალურ ხასიათს და ხშირ შემთხვევებში მთავრდება საქმის შეწყვეტით, ან წლების

<sup>1</sup> 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება

<sup>2</sup> „დანელია საქართველოს წინააღმდეგ“ 2006 წლის 17 ოქტომბერი; „დავითანი საქართველოს წინააღმდეგ“ 2006 წლის 27 ივლისი; „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2008 წლის 29 ივლისი

განმავლობაში გამოძიების გაჭიანურებით. ამგვარ საქმეებზე, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, გამოძიება წყდება თავად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით და ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებული უარყოფს სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და ჩვენებას იძლევა სამართალდამცავთა სასარგებლოდ. ზოგ შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება ისეთ დროს, როცა დაზარალებულს აღარ აღენიშნება დაზიანებები – მომხდარიდან რამდენიმე კვირის შემდეგ.

ევროსასამართლოს პრეცედენტების თანახმად, თუ პირი დაზიანდა პატიმრობის ან სხვა ისეთ დროს, როდესაც იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ, ნებისმიერი ასეთი დაზიანება წარმოშობს მტკიცე პრეზუმფციას, რომ პირი სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა<sup>3</sup>. სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება, წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რამ გამოიწვია დაზიანებები. თუ სახელმწიფო ამის ახსნას ვერ წარმოადგენს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი აშკარად წამოიჭრება.<sup>4</sup>

2010 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT-ის) ანგარიში, რომელიც ასახავს კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შედეგებს 2010 წლის 5–დან 15 თებერვლამდე

ევროპის საბჭოს წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT-ის) ბოლო ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომიტეტი მიესალმება პოლიციაში არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ კონრეტულ ნაბიჯებს. ასევე მითითებულია, რომ საგრძნობლად შემცირდა პოლიციელთა მიერ არასათანადო მოპყრობის რისკი, თუმცა, ცალკეული განცხადებებისა და საჩივრების არსებობა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მოადუნოს ყურადღება ამ მიმართულებით.<sup>5</sup>

CPT-ის ანგარიშში საკმაოდ ვრცლადაა განხილული 2009 წლის სექტემბერში გარდაცვლილი პატიმრის, უშანგი გ-ს საქმე, რაც მის მიმართ კომიტეტის განსაკუთრებულ ყურადღებაზე მეტყველებს. უ.გ. N7 საპყრობილეში განთავსების დღესვე, 19 სექტემბერს, უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს ჯერ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო შემდგომ ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, სადაც იგი გარდაიცვალა 21 სექტემბერს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, უ.გ-ს სიკვდილის მიზეზი გახდა „სხეულის ბლაგვი ტრავმის შედეგად განვითარებული მასიური სისხლჩაქცევა თავის ტვინში. უ. გ.-ს გვამს აღენიშნება სიცოცხლისდროინდელი შემდეგი სახის დაზიანებები: მასიური სისხლჩაქცევა სუბდურულად, სუბარაქნოიდალურად და ინტრავენტრიკულურად. ნაჭდევი: მარჯვენა წინამხრის, მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის, ორივე მუხლის სახსრის, მარცხენა წვივისა და ორივე კოჭ-წვივის სახსრის არეში; სისხლნაჟღერებები: მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის, მარჯვენა მხრის, მუცლის წინა და

<sup>3</sup> „ბურსუკი რუმინეთის წინააღმდეგ“ 2004 წლის 12 ოქტომბერი

<sup>4</sup> „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ 1999 წლის 28 ივნისი

<sup>5</sup> <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm> პარ.16

*გვერდითი კედლის, მარცხენა თემოს ფრთის, მარცხენა წინამხრის, მარცხენა წვივისა და მარჯვენა მტევნის მე-4 თითის ძირითადი ფალანგის არეში. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლავვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. ხანდაზმულობით 3-4 დღისაა“.*

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2009 წლის 21 სექტემბერს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის გვამზე აღმოჩენილი დაზიანებების ხასიათთან და სიმძიმესთან, რომლებიც გაუფრთხილებლობაზე უფრო მის მიმართ განხორციელებული ქმედებების გამიზნულ ხასიათზე მიუთითებს. დაზიანებები მიყენებული იყო სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ანუ დაკავების შემდეგ, რომელიც 15 სექტემბერს განხორციელდა. CPT-მ თავის ანგარიშში ხაზი გაუსვა გამოძიების არაეფექტურობას 2010 წლის თებერვალში, გამოძიების დაწყებიდან 5 თვის შემდეგ არ იყვნენ დაკითხული ის პოლიციელები, რომლებმაც უ.გ. დააკავეს, პიროვნება, რომელიც ამ უკანასკნელთან ერთად იქნა დაკავებული, აჭარის რეგიონული დმი-ს თანამშრომლები, სადაც იგი იქნა მოთავსებული დაკავების შემდეგ და ბადრაგი, რომელმაც უ.გ. გადმოიყვანა ბათუმიდან თბილისის N7 საპყრობილეში.<sup>6</sup>

კომიტეტის ანგარიშში არაა აღნიშნული, თუმცა სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურატურიდან 2010 წლის 23 ივნისს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, უ.გ.-ს საქმეზე გამოძიება დაიწყო ლუდუშაურის კლინიკის შეტყობინების საფუძველზე, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს არასათანადო მოპყრობის ფაქტების მიმართ არაჯეროვან დამოკიდებულებაზე – მიუხედავად იმისა, რომ N7 საპყრობილეში და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შესვლისას დაფიქსირდა უ.გ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები, არცერთი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ არ მიიჩნია საჭიროდ ამ ფაქტის საგამოძიებო ორგანოებისათვის შეტყობინება.

უ.გ.-ს საქმის გამოძიება დღემდე არ დასრულებულა და არავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დამდგარა.

საანგარიშო პერიოდში, ინტენსიური მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტმა, რომელიც ახორციელებს დახურული დაწესებულებების მონიტორინგს, აღმოაჩინა არაადამიანური მოპყრობის არაერთი ფაქტი, რომელთა თაობაზეც სახალხო დამცველმა მყისიერად მიმართა საქართველოს პროკურატურას.

## **1. დაკავების დროს ძალის გადამეტება**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის 01 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით

<sup>6</sup> პარ. 21

სასჯელადსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში სხეულის სხვადასხვა დაზიანებით შეყვანილი იქნა 403 პატიმარი, მათგან 42 პატიმარმა განმარტა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული პასუხების მიხედვით, გასაუბრების შედეგად 42 პატიმრიდან რვამ დაადასტურა, რომ სხეულის დაზიანება მიღებული ჰქონდა დაკავებისას, რის გამოც აღნიშნულ საქმეებზე დაიწყო წინასწარი გამოძიება.

თუმცა კითხვაზე, სსკ-ის რომელი მუხლებით დაიწყო წინასწარი გამოძიება, რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა და რა ეტაპზეა ამჟამად სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, პასუხი არ მიგვიღია.

საანგარიშო პერიოდში პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს აღმოჩენილი იქნა რამდენიმე შემთხვევა, რა დროსაც დაკავებულები მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ.

#### ***არასრულწლოვანი მალხაზ მ.–ს საქმე***

2010 წლის 16 აპრილს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელადსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვან პატიმარს მალხაზ მ.–ს, რომელსაც სხეულზე აღნიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები. არასრულწლოვანის განმარტებით, იგი 2010 წლის 6 აპრილს ქ.თელავში დააკავა პოლიციამ მაღაზიის გაქურდვის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ პოლიციის განყოფილებაში მისვლის შემდეგ ცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ასევე სთხოვდნენ ველოსიპედის ქურდობის აღიარებას.

მალხაზ მ.–ს თქმით, პოლიციის უფროსი მას დაემუქრა სოცოცხლის მოსპობით, თუკი იგი აღნიშნულ ფაქტს გაახმაურებდა.

2010 წლის 16 აპრილს არასრულწლოვანს აღნიშნებოდა სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორიაციები და სისხლნაჟღენთები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 19 აპრილს სახალხო დამცველმა საქმე რეაგირებისთვის გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს. მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 16 აპრილს კახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 06 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან კვლავ გამოვითხოვეთ ინფორმაცია აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. მიღებული პასუხის თანახმად, დაიკითხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თელავის რაიონული სამმართველოს, კახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების



იზოლატორისა და ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და საპრობილის რეჟიმის თანამშრომლები, ასევე, მალხაზ მ.–სთან ერთად დაკავებული პირები და მათი მშობლები. ამავე პასუხის თანახმად, 2010 წლის 09 აპრილს N5 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებიდან გაცემული მალხაზ მ.–ს ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე დაინიშნა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

### **კახაბერ კ–ს საქმე**

2010 წლის 22 თებერვალს სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის ჩატარების მიზნით იმყოფებოდა ქ.ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ჯგუფის წევრები შეხვდნენ და ახსნა–განმარტება ჩამოართვეს დაკავებულ კ.კ–ს. ამ უკანასკნელის განმარტებით, 2010 წლის 21 თებერვალს, 22<sup>00</sup>–23<sup>00</sup> საათისთვის, ის იმყოფებოდა სახლში ინვალიდ დედასთან ერთად, რა დროსაც მის სამინებელ ოთახში შევარდა პოლიციის ფორმაში ჩაცმული ათამდე პირი, რომლებმაც ჩამოაგდეს ლოგინიდან და მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კ.კ–ს თქმით, მას ურტყამდნენ ხელებსა და ფეხებში. შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დედამისს. შემდგომ კ.კ. გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც კვლავ გაგრძელდა მისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. მოგვიანებით მას უთხრეს, რომ ბრალი ედებოდა ავტომობილის აკუმულატორის ქურდობაში. დაკავებული განმარტავდა, რომ მისთვის უცნობი იყო აღნიშნული პოლიციელების ვინაობა, თუმცა შეეძლო მათი ამოცნობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის სამედიცინო ექსპერტმა გარეგნულად დაათვალიერა დაკავებული, რომელსაც აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები. DS: სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხვადასხვა მიდამოს ექსკორაციები და სისხლნაჟღენტები.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმში მითითებული იყო, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა მარჯვენა თვალბუდის ჩალურჯება.

აღნიშნულ ფაქტზე პრევენციული ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალები 2010 წლის 4 მარტს რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურორს. პროკურატურიდან მიღებული პასუხით გაირკვა, რომ 2010 წლის 04 მარტს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სსკ–ის 144<sup>1</sup>–ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 31 მარტს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ზუგდიდის N4 საპრობილეში განთავსებულ პატიმარ კ.კ–ს. მისი განმარტებით, მასთან იყო გამომძიებელი, რომელიც, როგორც პატიმარი აღნიშნავდა, ზოგადად ესაუბრა. პატიმრის თქმით, მას არ ჩატარებია სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად საქართველოს მთავარი პროკურატურიდან კვლავ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. 2010 წლის 23 ივლისს მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 16 მარტს დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, დაიკითხნენ ზუგდიდის რაიონული სამმართველოს, ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორის და N4 საპყრობილის თანამშრომლები. უკანასკნელი მონაცემებით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

### **ლევთერი თ.-ს საქმე**

ზუგდიდის N4 საპყრობილეში მონიტორინგის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმარ ლ.თ.-ს. მისი განმარტებით, 2010 წლის 5 მარტს მასთან სახლში შევიდა პოლიციის 6-7 თანამშრომელი, რომელთაც განუმარტეს, რომ სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე აპირებდნენ მის სახლში ჩხრეკის ჩატარებას.

ჩხრეკის შედეგად პატიმრის ბოსელში აღმოაჩინეს მოპარული ძროხა. პატიმრის თქმით, აღნიშნულის შემდეგ მას პოლიციის თანამშრომლებმა დაუწყეს სახეში ცემა, შემდეგ ჩასვეს ა/მანქანაში და მიიყვანეს ზედა ეწერის პოლიციის განყოფილებაში. პატიმარი აღნიშნავდა, რომ პოლიციის თანამშრომლები მისგან ძროხის ქურდობის აღიარებას მოითხოვდნენ, ურტყამდნენ პანდურებს, შემდეგ ძირს დააგდეს, რა დროსაც 4-5 პოლიციელი ცემდა. მისი განმარტებით, ცემის შედეგად მან გონება დაკარგა.

პატიმრის თქმით, ცემის შედეგად ჰქონდა თავის ტკივილები და დააკლდა სმენა. იგი განმარტავდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში და ზუგდიდის N4 საპყრობილეში შეყვანისას მან განაცხადა, რომ იგი ცემეს პოლიციის თანამშრომლებმა, თუმცა აღნიშნულ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

2010 წლის 07 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეამოწმა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალი. ჩანაწერის თანახმად, ლ. თ.-ს აღენიშნებოდა თავის არეში ნაკაწრი, მარჯვენა თვალზე სისხლნაჟღენთი და მარჯვენა ხელის თითზე ნაკაწრი. წიგნში ასევე აღნიშნული იყო, რომ მას პრეტენზია არ გააჩნდა, თუმცა არ არსებობდა ჩანაწერი, სად მიიღო დაკავებულმა აღნიშნული დაზიანებები.

ზუგდიდის N4 საპყრობილეში პატიმრის შეყვანისას 2010 წლის 8 მარტს გაკეთებული ექიმის ჩანაწერის მიხედვით, პატიმარს აღენიშნებოდა დაჟეჟილობა ორივე თვალბუდის არეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 08 აპრილს სახალხო დამცველმა საქმის მასალები საქართველოს მთავარ პროკურორს გადაუგზავნა. მიღებული პასუხის თანახმად, 2010 წლის 07 მაისს ზუგდიდის ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ლ.თ.-ს წამების ფაქტზე, საქართველოს

სისხლის სამართლის 144<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს პროკურატურიდან 2010 წლის 06 ივლისს გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად გვეცნობა, რომ დაიკითხა ლ.თ., მოწმეები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, პატიმარს სხეულზე ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

ამ შემთხვევაშიც საეჭვოა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი გამოძიება, რადგან ეროვნული პრევენციული ჯგუფის მიერ პატიმარი ლევთერ თ. მონახულებულ იქნა მომხდარი ფაქტიდან 3 კვირის შემდგომ, ხოლო წინასწარი გამოძიება დაიწყო სახალხო დამცველის მიმართვიდან ერთ თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

პროკურატურიდან მიღებული პასუხის მიხედვით, ზუსტად არ ჩანს ექსპერტიზის ჩატარების თარიღი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიება დაიწყო 2010 წლის 7 მაისს, საფიქრებელია, რომ 7 მაისამდე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა, ანუ დაზიანების მიღებიდან ექსპერტის მიერ გამოსაკვლევი პირის შემოწმებამდე გასულია მინიმუმ 2 თვე. როგორც უკვე აღინიშნა, გამოსაკვლევ პირს აღენიშნებოდა ნაჭდევები, რომლებიც წარმოადგენს კანის ზერელე შრის ეპიდერმისის დაზიანებას; ნაჭდევის ალაგება დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, მის ლოკალიზაციასა და სხვა ფაქტორზე. თავისა და კისრის მიდამოში არსებული ნაჭდევების შეხორცებას სჭირდება დაახლოებით 12, სხეულის წინა ზედაპირისა და კიდურებზე - 14-15, ქვედა კიდურებზე - 17 და ზურგზე - 18-20 დღე. ნაჭდევის ხასიათის და მისი ფორმის მიხედვით ექსპერტმა შეიძლება იმსჯელოს ნაჭდევის ხანდაზმულობაზე, დამზიანებელი საგნის თავისებურებებსა და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დაზიანების მიღებიდან ექსპერტიზამდე საკმაოდ ხანგრძლივი დროა გასული, ნაჭდევის მაკრომორფოლოგიური ნიშნები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, სავარაუდოდ, არ დახვდებოდა.

გამოსაკვლევ პირს ასევე აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთი, რომელიც ვითარდება სხეულზე რაიმე მკვრივი, ბლავვი საგნის მოქმედებისას კანსა და მის ქვეშ მდებარე რბილ ქსოვილებში სისხლძარღვების გახეთქვის და ქსოვილების სისხლით გაჟღენთის შედეგად. მცირე ზომის სისხლნაჟღენთი 2 კვირაში მთლიანად ქრება. სისხლნაჟღენთის ფერის ინტენსივობა დამოკიდებულია მის ზომაზე, ლოკალიზაციაზე, დაზარალებულის ასაკზე და ა.შ. ღრმად მდებარე სისხლნაჟღენთები შედარებით უფრო გვიან გამოვლინდება. სისხლნაჟღენთის ფორმა ხშირად დაზიანებული საგნის ნეგატიური გამოსახულებაა. დაზიანების ხასიათის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაშიც, 2 თვის შემდეგ გამოსაკვლევ პირს დაზიანების ნიშნები შესაძლოა, აღარ ჰქონოდა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზა არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ გამოკვლევის მომენტში არსებულ მდგომარეობას. სავარაუდოდ, ექსპერტიზას არ გამოუყენებია საქმის მასალებში არსებული ჩანაწერები, რის გამოც რეალური სიტუაციის ასახვა ექსპერტიზის დასკვნაში, სავარაუდოდ, არ მომხდარა.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება ორი სახის დარღვევას: უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ დაინიშნა დროულად და საფიქრებელია, რომ მისი ჩატარება განზრახ გაჭიანურდა; გარდა ამისა, იმის გამო, რომ ექსპერტს არ აქვს გამოყენებული საქმის მასალები, მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზა არასრულყოფილია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, წამების სავარაუდო ფაქტების გამოძიებისას აუცილებლობას წარმოადგენდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნაც, ვინაიდან წამების ფსიქოლოგიური შედეგები გაცილებით უფრო ხანდაზმულად რჩება ასახული მსხვერპლზე. აღნიშნული მომენტი გამოძიების მიერ სრულად იქნა იგნორირებული.

### **სერგო რ.–ს საქმე**

2010 წლის 25 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ახსნა–განმარტება ჩამოართვა ზუგდიდის №4 საპყრობილეში განთავსებულ პატიმარს ს.რ.–ს. მისი განმარტებით, 2010 წლის 16 თებერვალს საცხოვრებელ სახლთან იგი დააკავეს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებმაც სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. პატიმრის განმარტებით, მას თავში ურტყეს „ნაბელღავის“ წყლით სავსე ბოთლი და მისგან მოითხოვდნენ მობილური ტელეფონების ქურდობის ფაქტის აღიარებას.

ს.რ.–ს განმარტებით, აღნიშნული ქმედებები განხორციელდა როგორც დაკავების დროს, ისე პოლიციის შენობამდე გადაყვანისას და შემდგომ – სამმართველოს შენობაში.

პატიმარი განმარტავდა, რომ სენაკის პოლიციის შენობაში მას სცემდა დაახლოებით 5 პოლიციელი, ისინი აგინებდნენ და თითოეული მათგანი სათითაოდ ურტყამდა სახეში, თავში და ტანზე. ცემის შედეგად პატიმარმა მიიღო დაზიანებები და პერიოდულად აწუხებდა თავის ტკივილი. სენაკის პოლიციის დაკავებულთა აღრიცხვის წიგნის და სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარეგისტრაციო წიგნის მონაცემებით, პატიმრის სახეზე და სხეულზე არსებული დაზიანებები მან მიიღო დაკავებამდე. პატიმარი აღნიშნავდა, რომ იგი იყო შეშინებული და სწორედ ამიტომ ვერ გააპროტესტა მის მიმართ განხორციელებული ძალადობა. მისი განმარტებით, სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორში იგი მოინახულა მისი ინტერესების დამცველმა, რომელმაც დააყენა შუამდგომლობა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნაზე, რაც, პატიმრის გადმოცემით, არ იქნა დაკმაყოფილებული.

პატიმრის განმარტებით, სენაკის რაიონულ სამმართველოში ყოფნისას მას პოლიციელები ემუქრებოდნენ, რომ დაიჭერდნენ მის დედას და ცოლს, ხოლო ბავშვს ბავშვთა სახლში ჩააბარებდნენ და მას წამალს ჩაუდებდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს ს.რ. პროტესტის ნიშნად შიმშილობდა და ითხოვდა საქმის სამართლიან გამოძიებას და პოლიციელების დასჯას.

2010 წლის 11 მარტს სახალხო დამცველმა რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2010 წლის 06 ივლისს გამოვიტხოვეთ ინფორმაცია, დაიწყო თუ

არა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე, თუმცა არცერთ წერილზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

## **2. არასათანადო მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში**

პატიმრების საჩივრები, როგორც წესი, შეეხება ფიზიკურ ანგარიშსწორებას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი ჩივიან სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მოპყრობაზე. ორივე შემთხვევაში სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის ორგანოებს რეაგირებისთვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში გამოძიება მხოლოდ ფორმალურად წარმოებს ან წყდება თავად თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით. ხშირია შემთხვევები, როდესაც თავად დაზარალებული უარყოფს თავის განაცხადს და ამბობს, რომ დაზიანებები თავად მიიყენა ან მიიღო უბედური შემთხვევის, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდნის შედეგად. შიშის ფაქტორს წარმოშობს, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ დაზარალებული ჩივილის შემდეგაც რჩება იმავე დაწესებულებაში და იმავე თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ. ხშირად, ჩივილის შემთხვევაში თავად პატიმრის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება წინააღმდეგობის გაწევის კვალიფიკაციით და „დგინდება“, რომ მის მიერ მიღებული დაზიანებები მის მიერვე გაწეული წინააღმდეგობის შედეგია. ამგვარად, იმის გამო, რომ ხშირად გამოძიება ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, პატიმრებში გაჩნდა შიშის სინდრომი, რაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად უშლის ხელს არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოჩენას და დამნაშავეთა დასჯას.

### **რუსთავის N1 დაწესებულება**

2010 წლის 1 ივნისს რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში<sup>7</sup> გაიხსნა ახალი კორპუსი. მსჯავრდებულთა გადმოცემით, მათი გადაყვანა და განთავსება აღნიშნულ დაწესებულებაში მოხდა ფიზიკური ძალის გამოყენებით, თუმცა ამ ფაქტის გასაჯაროებისგან თავი შეიკავეს და კონფიდენციალურობა ითხოვეს. ის მსჯავრდებულები კი, რომლებსაც დაზიანებები ეტყობოდათ, დაზიანების მიზეზად სხვადასხვა შემთხვევას ასახელებდნენ, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდას, ფეხბურთი თამაშს და ა.შ..

### **გლდანის N8 საპყრობილე**

CPT-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გლდანის N8 საპყრობილეში და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები არ ადასტურებენ არასათანადო მოპყრობას, თუმცა სხვა დაწესებულებებში განთავსებული პატიმრები ადასტურებენ ამ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობას. გლდანის საპყრობილეში პატიმრებს ცემენ კარცერებში და საშხაპეებში საკნის კარზე დაკაკუნებისთვის, ხმამაღლა ლაპარაკისთვის, სხვა საკანში განთავსებულ პატიმართან კონტაქტის დამყარებისთვის. კომიტეტს მხედველობიდან არ გამორჩენია

<sup>7</sup> ვინაიდან საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2010 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდს, დაწესებულებები მოცემულია ძველი სახელწოდებებით

არაბუნებრივი სიჩუმე გლდანის საპყრობილის საცხოვრებელ ნაწილში,<sup>8</sup> რაც გარდა იმისა, რომ ბადებს საფუძვლიან ეჭვებს, ასევე ერთგვარად ადასტურებს პატიმრების ნათქვამს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სხვადასხვა დაწესებულებებში განთავსებული პატიმრები ესაუბრებიან გლდანის N8 საპყრობილეში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისინი ფაქტების გასაჯაროებისგან თავს იკავებენ.

### **მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება**

საანგარიშო პერიოდში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ზეპირად ხშირად საუბრობდნენ მსჯავრდებულები, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებაში იყვნენ გადაყვანილი, თუმცა ყოველთვის ერიდებოდნენ წერილობით დადასტურებას და ფაქტების გასაჯაროებას. ბევრი მათგანი აცხადებდა, რომ საჭიროების შემთხვევაშიც კი აღარ სურდა სამკურნალო დაწესებულებაში დაბრუნება იქ არსებული მდგომარეობის გამო (დამატებით იხ. „რეჟიმი“).

### **მერაბ წ.–ს საქმე**

2010 წლის 23 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა ახსნა–განმარტება ჩამოართვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს მერაბ წ.–ს. მისი განცხადებით, 2010 წლის 20 ივნისს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მსჯავრდებული აცხადებდა, რომ 2010 წლის 20 ივნისს, დაახლოებით 10:30 სთ–ზე, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების მეორე პალატაში შევიდნენ ამავე დაწესებულების თანამშრომლები (დაახლოებით 4–5 ადამიანი), რომლებმაც განაცხადეს, რომ ტარებოდა აღნიშნული პალატის ჩხრეკა. ქირურგიული განყოფილების მეორე პალატაში ამ დროს იმყოფებოდნენ პაციენტები მერაბ წ. და ავთო ნ.. ეს უკანასკნელი გავიდა ოთახიდან, ხოლო მერაბ წ. ადგილზე დატოვეს. მისი განმარტებით, ზემოაღნიშნული პირების შემოსვლის შემდეგ, რამდენიმე წუთში, აღნიშნულ პალატაში ასევე შევიდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, რომელიც მას გამომწვევად ელაპარაკებოდა. დირექტორის მოადგილემ ინვალიდის ეტლს, რომელშიც მერაბ წ. იჯდა, ფეხი ჩაართვა, შემდეგ კი ამ უკანასკნელს ყელში ხელები წაუჭირა. მერაბ წ.–ს განცხადებით, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, ასევე, ამავე დაწესებულების თანამშრომლები ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე. ცემის დროს ინვალიდის ეტლი გადაყირავდა, მსჯავრდებულმა დაკარგა გონება. მისი განცხადებით, როცა იგი გონზე მოვიდა, ავთო პოპიაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მსჯავრდებულის განცხადებით, ამის შემდეგ ავთო პოპიაშვილი და გიორგი ბიწაძე მას კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

<sup>8</sup> პარ. 49, 51

2010 წლის 23 ივნისს მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: შუბლის ზედა მარცხენა მხარეს ნაჭდევი, მარჯვენა წარბის ზემოთ, ზოლების სახით, სამი ნაჭდევი, მარჯვენა და მარცხენა თვალბუდის არეში ჰემატომები, მარჯვენა და მარცხენა თვალბუდის ქვემოთ ნახეთქი ჭრილობა, ცხვირზე ნაჭდევი და შესიება, ყელის ორივე მხარეს ჰემატომები, მარჯვენა და მარცხენა მკლავის ზედა ადგილებში გვერდიდან და უკანა მხრიდან ჰემატომები.

2010 წლის 24 ივნისს მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

2010 წლის 26 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ პასუხში მითითებულია, რომ 2010 წლის 14 ივლისს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #073100343 საქმეზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2010 წლის 5 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა განმეორებით მოინახულა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული მერაბ წ., რომლის განცხადებითაც, ზემოაღნიშნული ანგარიშსწორების შემდეგ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან კვლავ ადგილი ჰქონდა მისი უფლებების დარღვევას. კერძოდ, მას ჩამოართვეს რადიომიმღები, არ ეძლეოდა საშუალება ესარგებლა დაწესებულებაში არსებული ტელეფონით, ყოველდღიური გასეირნების უფლებით, სტომატოლოგიური მომსახურებით, არ ეძლეოდა აბანოთი სარგებლობის საშუალება და მისი განმარტებით, მის პალატაში აღარ უშვებდნენ მომვლელს, რის გამოც იგი ვერ გადიოდა ტუალეტში, აღარ ხდებოდა მისი პალატის დასუფთავება და ყოველდღიური ნარჩენების გატანა. აღნიშნულ შეზღუდვებს მსჯავრდებული უკავშირებდა იმ გარემოებას, რომ მან განაცხადა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წლის 05 ივლისს მერაბ წ.-ს ახსნა-განმარტება რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

მიღებული პასუხის თანახმად, ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. მოწმის სახით დაიკითხა მერაბ წ.-ს მიერ დასახელებული პირები. აღნიშნული წერილის თანახმად, გამოძიების მიერ ჯერჯერობით ვერ იქნა დადგენილი იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც მერაბ წ.-ს მიმართ განახორციელეს უკანონო ქმედებები.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

## **გეგუთის N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება**

გეგუთის დაწესებულებაში პატიმრებთან მოპყრობის საკითხზე სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც არის საუბარი, სადაც აღნიშნულია, რომ პატიმრების მიმართ ადმინისტრაციის დამოკიდებულება უხეში და გულგრილია<sup>9</sup>.

2010 წლის 26 თებერვალს გეგუთის დაწესებულების პატიმართა უმეტესმა ნაწილმა გამოაცხადა შიმშილობა. მათი განმარტებით, შიმშილობიდან მესამე დღეს, 28 თებერვალს, მსჯავრდებულებთან მივიდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები. მსჯავრდებულებმა განუმარტეს, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას. კერძოდ, მსჯავრდებულთა კარცერში მოთავსებას უმიზეზოდ და მათზე ფიზიკურ ზეწოლას. პატიმრების განმარტებით, მასობრივი შიმშილობის მიზეზი ასევე იყო აღნიშნული დაწესებულების კარცერში განთავსებული მსჯავრდებულის გიორგი კვანტრიშვილის გარდაცვალება. მათი გადმოცემით, გ.კვანტრიშვილი იმის გამო იქნა კარცერში მოთავსებული, რომ იგი ითხოვდა დაწესებულების იმ საცხოვრებელ კორპუსში (N6 კორპუსი) დაბრუნებას, სადაც მანამდე იყო, თხოვნა არ დაუკმაყოფილეს, რის გამოც მსჯავრდებულმა საჭმლის მიღებაზე უარი განაცხადა. პატიმრები აღნიშნავენ, რომ მსჯავრდებული კარცერში მოთავსების შემდგომ მალევე გარდაიცვალა.

აღნიშნული საუბრის შემდეგ დაწესებულებაში შევიდა სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების სამსახურის რამდენიმე ათეული თანამშრომელი. მათ საცხოვრებელ კორპუსებში ჩაატარეს ჩხრეკა, შემდეგ სიით გამოიძახეს რამდენიმე პატიმარი, ხოლო დანარჩენებს უთხრეს, რომ საკვების მიღების დრო იყო. მსჯავრდებულთა განმარტებით, ის მსჯავრდებულები, ვინც უარი განაცხადა საკვებზე, გადიოდნენ სპეცრაზმის ე.წ. „კორიდორს“, რა დროსაც მათ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამის შემდეგ 200–მდე მსჯავრდებული, პირველ რიგში კი ისინი, ვინც შიმშილობის შეწყვეტაზე უარი განაცხადა, გადაიყვანეს სხვადასხვა დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ქუთაისის N2, რუსთავის N2 და რუსთავის N6 დაწესებულებებში გეგუთის N8 დაწესებულებიდან გადაყვანილ მსჯავრდებულებს. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას ისინი ერთხმად ადასტურებენ ზემოაღნიშნულ ფაქტს, თუმცა მხოლოდ რამდენიმემ ისურვა ფაქტების გასაჯაროება და წერილობითი ახსნა–განმარტების მიცემა. უმრავლესობამ თავი შეიკავა წერილობითი ახსნა–განმარტების მიცემისგან და ითხოვა, რომ მათი მონაყოლი კონფიდენციალურად დარჩენილიყო.

2010 წლის 19 მარტს სახალხო დამცველმა რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გეგუთის დაწესებულებაში მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე.

<sup>9</sup> [http://www.ombudsman.ge/uploads/reports/saxalxo\\_damcvelis\\_angarishi\\_\\_2009\\_I\\_naxevari.pdf](http://www.ombudsman.ge/uploads/reports/saxalxo_damcvelis_angarishi__2009_I_naxevari.pdf) – გვ.57.



საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხების თანახმად, 2010 წლის 28 აპრილს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებულის სსკ-ის 144<sup>3</sup> –ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, პატიმართა მიმართ განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე. 2010 წლის 27 ივლისის პასუხის თანახმად, საქმეზე ჩატარდა საგამომიებო მოქმედებები და დაიკითხნენ პატიმრები, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის 2010 წლის 6 ივლისის განმეორებით მიმართვაზე, კერძოდ რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა და მიეცა თუ არა კონკრეტული პირი/პირები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, პასუხი არ მიგვიღია.

**რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს:** პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს დაკავებულ და სხვაგვარად თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ ცემა-წამების ფაქტების სწრაფი და ეფექტური გამოძიება და უზრუნველყოს აღნიშნული საქმეების ეფექტური, გამჭვირვალე და დროული გამოძიება.

## **II მდგომარეობა სასჯელსრულების დაწესებულებებში**

### **1. პატიმრობის პირობები**

ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით“.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომ, რომელშიც პირი იმყოფება (მაგ. „დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ“, „დოროხოვი რუსეთის წინააღმდეგ“).

საქმეში „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“<sup>10</sup> ევროსასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ მოსარჩელეს მოუწია სასჯელის მოხდა გადატვირთულ და არაჰიგიენურ საკანში, სადაც ტუალეტები არ იყო იზოლირებული, ფანჯრის რკინის ცხაური არ ატარებდა საკმარის განათებას და ჰაერს. იმავე დასკვნამდე მივიდა ევროპის ადამიანის უფლებათა სამართლო საქმეში „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“<sup>11</sup>, „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“<sup>12</sup> და „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“.<sup>13</sup>

<sup>10</sup> 2009 წლის 13 იანვარი

<sup>11</sup> 2009 წლის 27 იანვარი

<sup>12</sup> 2009 წლის 3 მარტი

<sup>13</sup> 2009 წლის 20 ოქტომბერი

საქმეში „რამიშვილი კოხრეიძის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის საყოველთაო პრინციპი, რომელიც არაერთ მის გადაწყვეტილებაში ფიგურირებს: „სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პიროვნებამ სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულების წესმა და პირობებმა არ უნდა გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც აღემატება პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ იქნას დაცული.“<sup>14</sup>

**მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში კვლავ არსებობს ის დაწესებულებები, სადაც პატიმართა მოთავსება და ცხოვრება ადვილად შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ესენია თბილისის N1, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილებები და ხონის N9 დაწესებულება, რომელთა ლიკვიდაციის რეკომენდაციაც სახალხო დამცველმა, თავის საპარლამენტო მოხსენებებში, არაერთხელ გასცა. ასევე განაგრძობს ფუნქციონირებას ქსნის N7 დაწესებულების ძველი ნახევრად ღია რეჟიმის ნაწილიც, რომელის პირობებიც ასევე ვერანაირ სტანდარტს ვერ პასუხობს.**

არასრულყოფილი ვენტილაციის გამო ზაფხულის პერიოდში პატიმრები გაუსამლის პირობებში იმყოფებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ პატიმართა მდგომარეობა, რომლებიც საპყრობილებში იყვნენ განთავსებულები და მინიმუმ 23 საათის განმავლობაში საკანში უწევდათ ყოფნა. აღნიშნული დადასტურდა 2010 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროსაც. ზოგიერთ დაწესებულებაში მდგომარეობა დაამძიმა იმანაც, რომ პატიმრებს ან ეკრძალებოდათ ვენტილატორის შექმნა, ან არ ჰქონდათ საკანში ერთზე მეტი ვენტილატორის ქონის უფლება.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული 2010 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ანგარიში. საქართველოში CPT-ის დელეგაციამ მოინახულა სხვადასხვა ტიპის დახურული დაწესებულებები: ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება<sup>15</sup>, გეგუთის N8 საერთო და მკაცრი სასჯელაღსრულების დაწესებულება<sup>16</sup>, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება<sup>17</sup> და თბილისის N7<sup>18</sup> და გლდანის N8<sup>19</sup> საპყრობილები.

კომიტეტმა დადებითად შეაფასა სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის აშკარა გაუმჯობესება, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ კომიტეტთან თანამშრომლობა არ შემოიფარგლება დელეგაციის ვიზიტისთვის ხელშეწყობით, არამედ გულისხმობს წარსულში კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის გადამწყვეტი ზომების მიღებასაც.<sup>20</sup> რაც შეეხება ციხეებს, კომიტეტი

<sup>14</sup> პარ. 79

<sup>15</sup> ამჟამად ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N15 დაწესებულება

<sup>16</sup> ამჟამად ნახევრად ღია ტიპის თ/ა N14 დაწესებულება

<sup>17</sup> ამჟამად მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო N18 დაწესებულება

<sup>18</sup> პატიმრობისა და დახურული თ/ა შერეული ტიპის N7 დაწესებულება

<sup>19</sup> პატიმრობისა და დახურული თ/ა შერეული ტიპის N8 დაწესებულება

<sup>20</sup> პარ. 6

იქვე აღნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გარდა სხვა საკითხებში ძალიან მწირი ან არავითარი პროგრესი არ შეიმჩნევა.<sup>21</sup>

CPT-მ განსაკუთრებით უარყოფითად შეაფასა ქსნის დაწესებულების ძველი საერთო რეჟიმის პირობები და აღნიშნა, რომ ამ დაწესებულებაში ადამიანების მოთავსება შეიძლება მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობად ჩაითვალოს და გასცა სასწრაფო რეკომენდაცია აღნიშნულის გამოსასწორებლად.<sup>22</sup>

ასევე, მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, რომ დაწესებულების ამ ნაწილში ჩატარებულყო კაპიტალური რემონტი, ჩატარდა მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი, რასაც იქ არსებული პირობები დიდად არ შეუცვლია.

იგივე შეიძლება ითქვას აღნიშნული დაწესებულების საპყრობილეზეც, სადაც განახლების სამუშაოები შემოიფარგლა საკნების კედლების და იატაკის შეღებვით.

რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 2010 წლის 01 ივნისს გაიხსნა ახალი კორპუსი, თუმცა დაწესებულების გახსნა ჯერ კიდევ მოუწყობელი ინფრასტრუქტურის პირობებში მოხდა. კერძოდ, არ იყო გარემონტებული პაემებისა და ადვოკატებთან შესახვედრი ოთახები, რის გამოც მსჯავრდებულებს, ერთი მხრივ, შეეზღუდათ დაცვის უფლება, ხოლო მეორე მხრივ – კონტაქტი გარე სამყაროსთან.

გეგუთის N8 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბარაკული ტიპის 5 საცხოვრებელი კორპუსი. თითოეულს ბარაკში საშუალოდ განთავსებულია 200–იდან 250–მდე მსჯავრდებული. CPT-მ, თავის 2010 წლის ანგარიშში, რეკომენდაცია გასცა, გეგუთის N8 დაწესებულებაში ბარაკული ტიპის საცხოვრებლები გადაკეთდეს საკნებად, რაც ასევე განპირობებულია უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე.<sup>23</sup>

ბარაკული სისტემა ასევე თბილისის N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც.

რუსთავის N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების I, II, III და IV საცხოვრებელი კორპუსებში არსებული საკნების სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს რემონტს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში განათება ხდება ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს მათ ბუნებრივ განათებას. ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისად. ზოგიერთ საკანში მოშლილია ონკანი, ზოგში არ არის ნათურები.

თბილისის N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არის ბარაკული სისტემის საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა და მსჯავრდებულები სარგებლობენ ელექტროგათბობლებით.

<sup>21</sup> იქვე

<sup>22</sup> პარ. 7

<sup>23</sup> პარ. 77

არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსი შედგება 7 საცხოვრებელი ოთახისაგან (25–27 ადგილიანი). დაწესებულება საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. საცხოვრებელ კორპუსს არ აქვს სავენტილაციო სისტემა.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც შედგება 82 პალატისგან. მათგან ერთი საცხოვრებელი კორპუსი კაპიტალურად გარემონტდა, ხოლო დანარჩენი 2 საცხოვრებელი კორპუსი საჭიროებს რემონტს. მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. გათბობა ხდება ელექტროგამათბობლების საშუალებით.

თბილისის N7 საპყრობილეში არის 25 საკანი, მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალურია, თუმცა საპირფარეშოებში არ არის ელექტროგაყვანილობა, რის გამოც მსჯავრდებულებს საპირფარეშოს განათება სანთლის მეშვეობით უწევთ. ფანჯრები არის მცირე ზომის, რის გამოც საკნების ბუნებრივი განიავება არ ხდება სათანადოდ, ხოლო ცენტრალური სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების განიავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზაფხულის განმავლობაში საკნებში არის უჭაერობა. საკნების განათება ხდება მხოლოდ ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს საკნის ბუნებრივ განათებას.

რუსთავის N6 სერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების ძველ სარეჟიმო კორპუსებში საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, კერძოდ, ვენტილაცია არ ხდება, კედლები ნესტიანია, ჩამოყრილია ბათქაში, განათება ხდება მბჟუტავი ნათურებით, ხოლო ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი, იატაკი ბეტონისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

თბილისის N3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება განთავსებულია ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე. დაწესებულება აშენდა 1952 წელს და გარემონტდა 1975 წელს, მისი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. აღნიშნული დაწესებულების შექმნის შემდგომ კოსმეტიკური რემონტი გაუკეთდა მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

**რეკომენდაციები სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:**

- დაუყოვნებლივ განხორციელდეს თბილისის N1, ბათუმის N3, ზუგდიდის N4 საპყრობილეებისა და ხონის N9 დაწესებულების ლიკვიდაციისთვის აუცილებელი ღონისძიებები; ექსპლუატაციიდან გამოვიდეს ქსნის N7 დაწესებულების ნახევრად ღია რეჟიმის ძველი ნაწილი;
- გარემონტდეს ზემოთ მითითებული ყველა დაწესებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს;
- სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია და განათება, ასევე საკნების გათბობა.

## **2. ხანძარი ქსნის დაწესებულებაში**

სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ქსნის დაწესებულების ძველი ნახევრად ღია რეჟიმის ნაწილში არსებულ პირობებში პატიმრის მოთავსება არაადამიანური ყოფის ტოლფასი იყო. მსჯავრდებულები განთავსებულნი იყვნენ ე.წ. ბარაკებში და კარვებში და გათბობის საშუალებად კუსტარულ გამათბობლებს იყენებდნენ. ამ ყველაფერს ემატებოდა სერიოზული გადატვირთულობაც, რის გამოც მსჯავრდებულებს მორიგეობით უწევდათ ძილი.

2010 წლის 06 მარტს ქსნის დაწესებულებაში გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ყოფილი სასადილოს შენობა, რომელიც საცხოვრებლად იყო გამოყენებული, ასევე მის გვერდით მდებარე ძველი კლუბის ტერიტორიაზე გაშლილი კარავი, დაიღუპა ერთი მსჯავრდებული, თავშესაფრის გარეშე დარჩა 1200-ზე მეტი.

საცხოვრებლის გარეშე დარჩენილ მსჯავრდებულთა ნაწილი განთავსებული იქნა გადარჩენილ საცხოვრებელ კორპუსსა (ე.წ. ცენტრალური ბარაკი) და ძველ კარავში, სადაც სულ 1039 საწოლი იყო, მათგან 730 საწოლი – საცხოვრებელი კორპუსის ორ სართულზე და 309 – ძველ კარავში. 2010 წლის 08 მარტისათვის 1039 საწოლზე 2000-ზე მეტი მსჯავრდებული იყო განთავსებული.

მსჯავრდებულთა მცირე ნაწილი განთავსებული იყო ასევე ყოფილი კლუბის, სპორტდარბაზის და სამედიცინო ნაწილის შენობებში. დაწესებულების საპყრობილეში საკუთარი სურვილით 66 მსჯავრდებული გადაიყვანეს. სტადიონის ტერიტორიაზე კი გაიმართა ორი კარავი, რომლებშიც 164 საწოლი განათავსეს.

მთლიანობაში, 2010 წლის 8 მარტის მდგომარეობით, კოლონიის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ნაგებობებში, ხანძარს გადარჩენილ 1287 და ახალ 204 საწოლს 2700-ზე მეტი მსჯავრდებული ინაწილებდა.

დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეემსუბუქებინა მსჯავრდებულთა მდგომარეობა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქსნის დაწესებულებაში 2010 წლის 6 მარტამდეც სერიოზულად იდგა გადატვირთულობის, მოძველებული ინფრასტრუქტურის და ანტისანიტარიის პრობლემა, ხანძრის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

## **3. პატიმართა მიღება და განთავსება**

ციხის ევროპული წესების თანახმად, „შესახლებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი

წესების შესახებ.“<sup>24</sup> „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.“<sup>25</sup>

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ბათუმის N3 საპყრობილეში პატიმართა უფლება-მოვალეობები ყველა საკანშია გამოკრული და დაზიანების შემთხვევაში მყისიერად ხდება მათი განახლება. გლდანის N8 საპყრობილის საკნებში მხოლოდ პატიმართა მოვალეობებია გამოკრული, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მკაცრ სარეჟიმო მოთხოვნებს აღნიშნულ დაწესებულებაში. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ინფორმირება ხდება წერილობითი ფორმით, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული უფლება-მოვალეობის ნუსხაზე ხელმოწერით, თუმცა აღნიშნული ატარებს ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან პატიმრებს არ ეძლევათ საშუალება, თან იქონიონ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „კონკრეტულ ციხეში ან ციხის კონკრეტულ განყოფილებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს რათა: ა) წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით იქნენ მოთავსებულნი“<sup>26</sup>.

იგივე პრინციპი დამკვიდრებულია ახალი პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილშიც.

მიუხედავად ამისა, გლდანის N8, ზუგდიდის N3 და ბათუმის N4 საპყრობილეებში, ასევე, ქუთაისის N2 დაწესებულებაში, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები და მსჯავრდებულები ერთად არიან საკნებში განთავსებული.

#### **რეკომენდაციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:**

- უზრუნველყოფილი იქნას პატიმრების დაწესებულებაში მიღებისას მათთვის უფლება-მოვალეობების ნუსხის წერილობითი ფორმით გადაცემა;
- უზრუნველყოფილი იქნას ბრალდებულების და მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

#### **4. გადატვირთულობა**

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გადატვირთულობა კვლავ პრობლემად რჩება. აღნიშნული გამოწვეულია პატიმართა მზარდი რაოდენობით და მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს. 2004 წლიდან 2010 წლის 30 ივნისამდე პატიმართა რაოდენობა 15974-ით გაიზარდა. 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 22628 პატიმარი/მსჯავრდებული იყო განთავსებული.

<sup>24</sup> წესი 30.1

<sup>25</sup> წესი 30.2

<sup>26</sup> 18.8-ე წესი

გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ყოველი პატიმრის საკუთარი საწოლით უზრუნველყოფის კუთხით, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში აღნიშნული პრობლემაც დგას, მაგალითად, რუსთავის N2 და გეგუთის N8 დაწესებულებებში, თბილისის N1, ბათუმის N3, ზუგდიდის N4 საპყრობილეებში, მსჯავრდებულთა გარკვეულ რაოდენობას არ აქვს საკუთარი საწოლი.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ არაერთხელ იქნა გაცემული რეკომენდაცია თითოეულ პატიმარზე 4მ<sup>2</sup> ფართის უზრუნველსაყოფად, თუმცა ახალ პატიმრობის კოდექსშიც<sup>27</sup> იგივე ფართობია გათვალისწინებული, რასაც ითვალისწინებდა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>28</sup>.

სახალხო დამცველის არაერთ მოხსენებაშია საუბარი იმის შესახებ, რომ ციხეების გადატვირთულობა მხოლოდ ახალი დაწესებულებების აშენებით არ მოგვარდება. პატიმრების რაოდენობამ ბოლო წლებში იმ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომელიც სხვა, უფრო გლობალური ზომების გატარებას მოითხოვს, რაც შეკრებითობის პრინციპისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის შერბილების გარდა მოიცავს არასაპატიმრო ღონისძიებების უფრო ინტენსიურ გამოყენებას, პრობაციის სისტემის დახვეწასა და სრული დატვირთვით ამუშავებას, ზოგიერთი, საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიში ქმედებების (მაგ. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, საზღვრის უკანონო გადაკვეთა) დეკრიმინალიზაციას და ა.შ.

**წინადადება საქართველოს პარლამენტს:**

- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;
- განხორციელდეს საზოგადოებისათვის ზოგიერთი ნაკლებად საშიში დანაშაულების დეკრიმინალიზაციისთვის საჭირო ზომები;
- პატიმრობის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და თითოეულ პატიმარზე განისაზღვროს 4მ<sup>2</sup> ფართი.

**რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს:** სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

**5. რესოციალიზაცია**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის

---

<sup>28</sup> ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2კვ. მზე, საპყრობილეში 2,5 კვ.მზე, ქალთა დაწესებულებაში 3 კვ.მზე, არასრულწლოვანთა აღზრდელით დაწესებულებაში 3,5 კვ.მზე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში – 3 კვ.მზე ნაკლები. 3.კვების ნორმები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. ორსულ ქალებს, მებუბურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს.

მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრობა სრულად იმგვარად უნდა იქნეს წარმართული, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში“.<sup>29</sup>

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, „თავისუფლების შეზღუდვა და სხვა აღკვეთის ღონისძიებების პიროვნებისათვის შეფარდების მიზანია პირის რეაბილიტაცია საზოგადოებასთან, რათა იგი გახდეს კანონმორჩილი, მათთან ურთიერთობა კი უნდა იძლეოდეს იმის საბაზს, რომ პატიმრები გაამხნეონ, აუმაღლონ ღირსება და განუვითარონ პასუხისმგებლობის გრძნობა“.<sup>30</sup>

„ყველა საჭირო შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული: რელიგია, განათლება, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი გათავისუფლების შემდეგ“.<sup>31</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების დაცვას და დამნაშავის იზოლაციას, თუმცა ამავედროულად, პატიმრობის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციას და რეინტეგრაციას საზოგადოებაში და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ დასჯაზე. აუცილებელია, მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება ან პროფესიული უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რათა თვალყური ადევნოს გარეთ მიმდინარე პროცესებს, კონტაქტი იქონიოს ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ყველაფერი ეს აუცილებელია მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოსამზადებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია იმის ალბათობა, რომ გაბოროტებული და ნორმალურ ცხოვრებას გადაჩვეული ადამიანი გათავისუფლების მერეც ვერ იპოვის თავის ადგილს საზოგადოებაში და ისევ დანაშაულებრივ გზას დაადგება. გარდა ამისა, ყოველივე ზემოაღნიშნული გადამწყვეტია სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის ნორმალური არსებობისთვის – სრული დაუსაქმებლობა და აქტივობების უქონლობა აზიანებს როგორც მსჯავრდებულის ჯანმრთელობას, ისე ნაკლებად ეფექტურს ხდის უსაფრთხოების ზომებს.

როდესაც რესოციალიზაციაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს, გარდა კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებისა, წარმოადგენს სასჯელადსრულების ადმინისტრაციაში მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმი და მათი დამოკიდებულება პატიმრების მიმართ. პერსონალი უნდა იცნობდეს როგორც

<sup>29</sup> წესი 6  
<sup>30</sup> წესი 65  
<sup>31</sup> წესი 66



საქართველოს კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებშიც დამკვიდრებული წესებითა და სტანდარტებითაც მათ მუშაობის დროს უნდა იხელმძღვანელონ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ანგარიში სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის განხორციელება და მისი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და რომ რეფორმა მოიცავს პატიმრების რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების, მათ შორის საგანმანათლებლო, პროფესიული და სპორტული ღონისძიებების წახალისებას.<sup>32</sup>

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ რეფორმის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ რესოციალიზაცია წარმოადგენს, თუმცა აღნიშნულის განსახორციელებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნარკოდამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის ღონისძიებებსაც. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, უმეტეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საერთოდ არ ფუნქციონირებს სარეაბილიტაციო პროგრამები. ესენია: თბილისის N1, ბათუმის N3, ზუგდიდის N4, თბილისის N7 საპრობილემები, რუსთავის N1 და N2, ქსნის N7, გეგუთის N8, ხონის N9, თბილისის N10 დაწესებულებები, ასევე, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. გლდანის N8 საპრობილემში მოქმედებს მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპია, ხოლო ქუთაისის N2, რუსთავის N6 და თბილისის N5 დაწესებულებებში მოქმედებს ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა „ატლანტის“.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უახლოეს მომავალში უზრუნველყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ღონისძიებების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

### **სოციალური სამსახური**

მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში, კანონმდებლობის მიხედვით, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალურმა სამსახურმა. დეპარტამენტის დებულების<sup>33</sup> მე-13 მუხლის მიხედვით, სოციალური სამსახური უზრუნველყოფს პატიმართა და მსჯავრდებულთა სოციალურ უფლებათა განხორციელებას; კოორდინაციას და კონტროლს უწევს სოციალური ადაპტაციის

<sup>32</sup> <http://www.mcla.gov.ge/content.php?id=9&lang=geo>

<sup>33</sup> დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №60 ბრძანებით; ეს უკანასკნელი 2010 წლის 11 ნოემბერს შეცვალა N156 ბრძანებამ, რომელშიც სოციალურ სამსახურზე საუბარია მე-11 მუხლში

ჯგუფების, სარეაბილიტაციო ცენტრების, მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული მომზადების სამსახურის საქმიანობას; ახორციელებს მსჯავრდებულთა მართლშეგნების ამაღლების, საზოგადოების წარმომადგენლებთან მათი ურთიერთობის ხელშეწყობის ღონისძიებებს; ახდენს მსჯავრდებულისა და პატიმრის მდგომარეობის შესწავლას, ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს მათი უფლებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად; მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში მსჯავრდებულის შესახებ აგზავნის ინფორმაციას ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოში; გეგმავს ღონისძიებებს მსჯავრდებულთა შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად და ამ მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს წარმოების განვითარებისა და მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის; ორგანიზებას და კონტროლს უწევს საწარმოო უბნების საქმიანობას; ხელს უწყობს მსჯავრდებულთა შრომით რეაბილიტაციას; შეისწავლის და შეიმუშავებს მსჯავრდებულთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და განათლების მიღების პირობებს, შეხვედრების განხორციელების, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების, ამანათების და გზავნილების მიღების პრაქტიკას, მის შესაბამისობას დადგენილ ნორმებთან და ახდენს შესაბამის რეაგირებას; გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, ურთიერთობებს ამყარებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დასაქმებულ საერთაშორისო და ადგილობრივ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; მონაწილეობს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში.

შესაბამისად, ყველა ის სარეაბილიტაციო და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ღონისძიებები, პროგრამები და გეგმები სოციალური სამსახურის პირდაპირი კომპეტენციაა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში სასჯელსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის საქმიანობა შორსაა კანონმდებლობის მოთხოვნებისგან.

რაც შეეხება უშუალოდ დაწესებულებებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს, შეუძლებელია მათი რაოდენობის, ფუნქციური დატვირთვის და სხვა მსგავსი ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ V თავის შესაბამისად ეს ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებაა. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის N42 ბრძანებულება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მე-7 მუხლში ზუსტადაა მითითებული, რა კატეგორიის ინფორმაცია შეიძლება იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო საიდუმლოს კატეგორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციული ჯგუფი სიღრმისეულად ვერ სწავლობს აღნიშნულ საკითხს და ეყრდნობა მხოლოდ პატიმართა/მსჯავრდებულთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. საბოლოოდ, სოციალური მუშაკების როლი და საქმიანობა, რამდენიმე დაწესებულების გარდა, სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის უცნობია. ზოგიერთ დაწესებულებაში პატიმრები მათ საერთოდ არ იცნობენ, ზოგიერთში სოციალური მუშაკები ძირითადად რეჟიმის და უსაფრთხოების საქმიანობას ახორციელებს, რაც დაუშვებელია და ძირეულად ეწინააღმდეგება მისთვის კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

ჩვენი აზრით, სოციალური სამსახურის ცუდი ფუნქციონირება განპირობებულია იმითაც, რომ იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია, სადაც ნაკლები ადგილია სოციალური და სხვა სპეციფიკური საკითხების სრულად განვითარებისთვის. მიგვაჩნია, რომ სამედიცინო სფეროს მსგავსად, რომელიც 2009 წლის აპრილიდან გამოვიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებიდან და გახდა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის კომპეტენცია, ასევე, სოციალური საკითხების კურირებისთვის აუცილებელია უშუალოდ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლობით მოეკიდება თავის ფუნქციებს.

**რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას: 2009 წლის 30 იანვრის N8 დადგენილებაში „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები სამინისტროში ახალი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური დეპარტამენტის – შექმნის მიზნით.**

### **განათლება**

ახალი პატიმრობის კოდექსი აღარ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების უფლებას. აღნიშნული ცვლილება უკან გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია, რადგან დამნაშავეობასთან ბრძოლა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ გამოიხატება მხოლოდ მათ იზოლირებაში და დასჯაში. აუცილებელია, პატიმრებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ უმაღლესი განათლება, თუ მათ აღნიშნული უფლების განხორციელების პოტენციალი გააჩნიათ, ხოლო სახელმწიფომ, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს პატიმრების განვითარებას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის R (89) 12 თანახმად, რომელიც შეეხება ციხეში განათლებას, აღნიშნულია, რომ „*პატიმრების განათლება უნდა იყოს გარე სამყაროში მათი ასაკობრივი ჯგუფებისათვის უზრუნველყოფილი განათლების შესაბამისი*“ (პუნქტი 2). „*სადაც შესაძლებელია, პატიმრებს ციხის გარეთ განათლების საშუალება უნდა მიეცეთ*“ (პუნქტი 14). „*როდესაც განათლება ციხეში უნდა მოხდეს, გარე სამყარო რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნას ჩართული*“ (პუნქტი 15).

ზემოაღნიშნული სტანდარტის განხორციელებისთვის გასულ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – ციხეში უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით სასჯელაღსრულების და განათლების მინისტრებს შორის ჩამოაყალიბდა დისტანციური სწავლების საერთო კონცეფცია, თუმცა პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელშიც უმაღლესი განათლება საერთოდ აღარაა მოხსენიებული, ამ კონცეფციის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილია, რომ 2010 წლის აგვისტოში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გამო სამი არასრულწლოვანი პატიმარი გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტით, თუმცა გაურკვეველია იმ მსჯავრდებულთა ბედი, ვინც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ამჟამად კვლავ პატიმრობაში რჩება.

### **პატიმართა დასაქმება**

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.<sup>34</sup>

„სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები შეძლებისდაგვარად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან რათა მოხდეს პატიმართა მომზადება ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისათვის“<sup>35</sup>.

„ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს პატიმართა სამუშაოს სამართლიანი ანაზღაურება“<sup>36</sup>.

თბილისის N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გახსნილია თონე, სადაც დასაქმებულია 1 პატიმარი. გეგუთის N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების საცხოვრებელ დასაქმებულია 3 მსჯავრდებული და ხელფასის სახით თითოეულს 250 ლარი ეძლევა; ბათუმის N3 საპყრობილის საცხოვრებელ დასაქმებულია 2 მსჯავრდებული, ხელფასი – 250 ლარი; ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სამკერვალო, სადაც დასაქმებული იყო 30 მსჯავრდებული, თუმცა საანგარიშო პერიოდში სამკერვალომ ფუნქციონირება შეწყვიტა. რუსთავის N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების თონეში დასაქმებულია 2 მსჯავრდებული. რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში თონეში დასაქმებულია 4 მსჯავრდებული. რუსთავის N6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში დასაქმებულია 2 მსჯავრდებული. თბილისის N3 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში დასაქმებულია 6 მსჯავრდებული.

**შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული 23 ათასამდე პატიმრიდან 2010 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ანაზღაურებადი სამუშაო აქვს მხოლოდ 20 პატიმარს.**

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა დასაქმების სრულფასოვანი რეალიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული კერძო ბიზნესის დაინტერესებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2009 წლის მოხსენებებში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელთა მიხედვითაც იმ მეწარმეებისთვის, რომლებიც იზრუნებდნენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, დაწესებული იქნებოდა საგადასახადო შეღავათები. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეღავათები ასევე უნდა გავრცელდეს იმ საწარმოებზეც, რომლებიც დასაქმებენ პრობაციონერებს.

<sup>34</sup> წესი 26.2

<sup>35</sup> წესი 26.7

<sup>36</sup> წესი 26.10

წინადადება საქართველოს პარლამენტს: შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მეწარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა ან პრობაციონერთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: შემუშავდეს მსჯავრდებულთა დასაქმების სამოქმედო გეგმა.

### *კონტაქტი გარე სამყაროსთან*

#### *პაემანი*

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პატიმრებს არ აქვთ უფლება, იქონიონ გრძელვადიანი პაემნები და მათ მინით გადატიხრულ ოთახებში ტელეფონის საშუალებით შეუძლიათ შეხვდნენ ოჯახის წევრებს.

სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის გამოსწორების მიზნით, თუმცა ახალ პატიმრობის კოდექსშიც ხანგრძლივი პაემანი მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაა დაშვებული, ისიც 2012 წლიდან.

კანონით დადგენილი ერთსაათიანი პაემნის ქონის უფლება პრობლემურია სასჯელაღსრულების თითქმის ყველა დაწესებულებაში, თუმცა აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით ზუგდიდის N4 საპყრობილეში დგას, სადაც, პატიმართა გადმოცემით, პაემანი 20–25 წუთზე მეტი არ გრძელდება. აღნიშნული გამოწვეულია როგორც ინფრასტრუქტურის უკმარისობით, ასევე ადმინისტრაციის საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულებითაც.

CPT-მ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პატიმრების მიერ ოჯახის წევრებთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას, რის უმნიშვნელოვანეს საშუალებადაც გრძელვადიანი პაემნების კვლავ დაშვება მიიჩნია და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს კანონმდებლობაში.<sup>37</sup> რაც შეეხება მოკლევადიან პაემნებს, კომიტეტის დასკვნაში მითითებულია, რომ ისინი შუშით გადატიხრულ ოთახში, რაც ყოველგვარ ფიზიკურ კონტაქტს გამორიცხავს, მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთებით უნდა ხდებოდეს.<sup>38</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაა, სახელმწიფომ განიხილოს პატიმრებისთვის მათ პარტნიორებთან ზედამხედველობის გარეშე შეხვედრის შესაძლებლობა.<sup>39</sup>

<sup>37</sup> პარ. 109

<sup>38</sup> პარ. 110

<sup>39</sup> 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაცია Rec 98(7) „ციხის ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული საკითხების შესახებ“, პარაგრაფი 68

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები მაქსიმალურად ნორმალურ გარემოში“<sup>40</sup>. „ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით“<sup>41</sup>.

პატიმრებთან საუბრით გაირკვა, რომ მათთვის ერთ–ერთი მთავარი პრობლემა კონტაქტური და გრძელვადიანი პაემნების არარსებობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის საპარლამენტო მოხსენებებში სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულიყო დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფდა მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.

ასევე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სასჯელაღსრულების ახალ დაწესებულებებში უზრუნველყო გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინება.

დადებითად უნდა აღინიშნოს ახალი პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის გრძელვადიანი პაემნების შესაძლებლობას, რაც უდავოდ წინადადებული ნაბიჯია და დაეხმარება არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციას, თუმცა აღნიშნული ცვლილება, პატიმრობის კოდექსის გარდამავალი დებულებების მიხედვით, მხოლოდ 2012 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება.

სამ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაიწყო გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახების მშენებლობა, თუმცა დღემდე კანონმდებლობაში არავითარი ცვლილება არ შესულა და არც მომავალი ცვლილების განხილვა მიმდინარეობს.

**წინადადება საქართველოს პარლამენტს: პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.**

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს: ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრების პაემნის უფლების სრული რეალიზაცია ევროპული სტანდარტების შესაბამის პირობებში.**

#### სატელეფონო საუბრები

მსჯავრდებულთა განმარტებით, მათი სარგებლობისათვის განკუთვნილ ტელეფონებზე ტარიფები საკმაოდ მაღალია – წუთში 40–50 თეთრი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

<sup>40</sup> 24.4–ე წესი

<sup>41</sup> 24.5–ე წესი

სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილი, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას მოქმედებდა თუ არა დისკრიმინაციული სახის ტარიფები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

მიღებული პასუხის თანახმად, მსჯავრდებულთათვის მიწოდებული სატელეფონო მომსახურების ტარიფიკაცია პირველივე წუთიდან მიმდინარეობს წამობრივი აღრიცხვის მეთოდით, ხოლო სატელეფონო მომსახურების ერთი წუთის ღირებულება ქრუსთავში შეადგენს – 0.04; საქართველოში – 0.15; თბილისი – 0.10; მობილურ ოპერატორებზე – 0.29 და საზღვარგარეთ 0.50 ლარს.

აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას და ტარიფების გადამოწმებას.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს სატელეფონო საუბრებით. ახალი პატიმრობის კოდექსის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა.

ახალი სატელეფონო ბარათებით მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, დარეკონ 15 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთ ნომერზე. პირველივე ნომრის აკრეფის შემდეგ, მიუხედავად საუბრის ხანგრძლივობისა, ბარათი იბლოკება. რამდენიმე ზარის განხორციელებისთვის მსჯავრდებული იძულებული ხდება, შეიძინოს სხვა ბარათი, რაც შესაბამის ხარჯებთან არის დაკავშირებული.

CPT-მ დადებითად შეაფასა ახალი პატიმრობის კოდექსის დისპოზიციები, რომლებიც მიუსჯელი პატიმრების გარე სამყაროსთან ურთიერთობას შეეხება და, რომელთა მიხედვითაც პაემნების და სატელეფონო კავშირის უფლება იქნება ნორმა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოხდება აღნიშნული უფლების ჩამორთმევა.<sup>42</sup> სამწუხაროდ, აღნიშნული დისპოზიცია ძალაში შედის მხოლოდ 2014 წლიდან.

კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ მონახულებულ დაწესებულებებში ტელეფონების არასაკმარისი რაოდენობის გამო პატიმრებს ტელეფონით სარგებლობა მხოლოდ თვეში ერთხელ უწევდათ. მათ ასევე არ მიუწვდებოდათ ხელი საზღვარგარეთთან სატელეფონო საუბარზე.<sup>43</sup>

ჩატარებული მონიტორინგის მიხედვით, იკვეთება დაწესებულებები, სადაც სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა ან საერთოდ არ არის (მაგალითად ბათუმის N3 საპყრობილე, სადაც ტელეფონის უფუნქციობის მიზეზად, უკანასკნელი წლების მანძილზე ხან წვიმები სახელდება და ხან სატელეფონო კაბელის ქურდობა) ან ხდება თვეში ერთხელ (ზუგდიდის N4 საპყრობილე).

<sup>42</sup> პარ. 108

<sup>43</sup> პარ. 111

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:**

- უზრუნველყოფილი იქნას ყველა პატიმრის უფლების სრული რეალიზაცია სატელეფონო საუბრებზე, მათ შორის, იმ პირების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთა ახლობლები არ იმყოფებიან საქართველოში;
- უზრუნველყოფილი იქნეს იმგვარი სატელეფონო ბარათების დამზადება, რომლებიც არ იქნება ერთჯერადი მოხმარების.

პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია მოხსენიებული ტელევიზორების არქონა დახურული ტიპის დაწესებულებებში (გარდა ქსნის დაწესებულებისა). იმ პირობებში, როდესაც პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ და არ არიან დაკავებული არანაირი საქმიანობით, ტელევიზორის არქონა განსაკუთრებით მიუღებელია. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალი პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლა, რომელშიც ტელევიზორის ქონა ზოგადად არის დაშვებული, გამოასწორებს მდგომარეობას.

რუსთავის N6 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა უმეტესობა წლების განმავლობაში იხდის სასჯელს. მიუხედავად დაწესებულების სათაურისა, აღნიშნულ დაწესებულება დახურული ტიპისაა და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ ერთი საათით ისარგებლონ გასეირნების უფლებით. იგივე მდგომარეობაა ქუთაისის N2 დაწესებულებაშიც. გლდანის N8 საპყრობილეში და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმრებს ასევე არ აქვთ ტელევიზორის ქონის უფლება. თბილისის N7 საპყრობილეში მსჯავრდებულები სატელევიზიო პროგრამების ნაცვლად DVD-ის საშუალებით უყურებენ ჩანაწერებს.

CPT-მ აღნიშნა, რომ გლდანის N8 საპყრობილეში პატიმრებს არ აქვთ ტელევიზორები და აღნიშნულის გამოსასწორებლად რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას N8 საპყრობილეში ტელევიზორების დაშვების თაობაზე<sup>44</sup>.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „*პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში*“<sup>45</sup>.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს: უზრუნველყოფილი იქნას ტელევიზორით სარგებლობის უფლება ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.**

პრესა

<sup>44</sup> პარ. 82

<sup>45</sup> წესი 24.10



პრესა, როგორც წესი, პატიმრებს მიეწოდებათ ამანათით და მისი შექმნა ასევე შესაძლებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებების მაღაზიაშიც. გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნოთ ქუთაისის N2 დაწესებულება, სადაც დაწესებულების მაღაზიაში გაზეთები არ იყიდება და მათი შეგზავნა არ არის დაშვებული ამანათით.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს: ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პრესის ხელმისაწვდომობა.**

#### პატიმართა კორესპონდენცია

პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ იქონიონ მიმოწერა ოჯახის წევრებთან, თუმცა იმ დაწესებულებებში, სადაც ტელეფონით სარგებლობა საკმარისი რეგულარობით ხდება, პატიმრები იშვიათად ან საერთოდ არ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით.

**CPT-მ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა კომენტარი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წერილის გაგზავნა პატიმრებს 84 ლარი უჯდებათ.<sup>46</sup>**

#### საჩივარ-განცხადებები

საჩივრის ყუთები ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია დამონტაჟებული, თუმცა ისევე, როგორც წინა წლებში, ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების საჩივარ-განცხადებების ადრესატებთან გაგზავნა.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს სასამართლოს, დეპარტამენტის, დამცველის ან პროკურორისათვის გაგზავნილი მსჯავრდებულის განცხადება“. იგივე პრინციპია მოცემული პატიმრობის კოდექსშიც<sup>47</sup>.

სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებაში არაერთხელ ყოფილა მითითება პატიმრების კორესპონდენციის უფლების დარღვევებზე, თუმცა დღემდე რჩება დაწესებულებები, საიდანაც საჩივრის გაგზავნა თითქმის შეუძლებელია, კერძოდ, ზუგდიდის N4, გლდანის N8 საპყრობილეები, ქუთაისის N2, გეგუთის N8, ხონის N9 დაწესებულებები, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს: უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და მათი საჩივარ-განცხადებების და სხვა სახის კორესპონდენციის ადრესატებთან დროული გადაგზავნა.**

<sup>46</sup> პარ. 112

<sup>47</sup> მე-16 მუხლის მე-6 ნაწილი

## 6. რეჟიმი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ყოფნის რეჟიმმა ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულთა გამოსწორებას“.

ამავე კანონის თანახმად, არსებობდა რეჟიმის სამი სახე: საერთო, მკაცრი და საპყრობილე. თითოეულ მათგანზე სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვანაირი პრაქტიკა იყო დანერგული. მაგალითად, დაბა-ქსნის N7 დაწესებულების ახალ კორპუსში მოქმედებს რეჟიმი, რომლის თანახმადაც დილას ეზოში გამოსული მსჯავრდებული სადილამდე ვეღარ ბრუნდება საკანში, ვინაიდან იკეტება კორპუსის შესასვლელი კარი და ისინი იძულებულნი არიან 3–4 საათის განმავლობაში, ამინდის მიუხედავად, იმყოფებოდნენ დაწესებულების ეზოში, ხოლო ის მსჯავრდებული, რომელიც ვერ მოასწრებს დროულად ჩასვლას, იძულებულია იმავე დროის მანძილზე დარჩეს საკანში.

ასეთივე სახის რეჟიმია რუსთავის N1 დაწესებულებაშიც, თუმცა განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკვებს საკნებში იღებენ.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოქმედებს სრულიად გაურკვეველი რეჟიმი. მსჯავრდებულებს სუფთა ჰაერზე ყოფნა მაქსიმუმ 1 საათი უწევთ, მაშინ, როდესაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის აღნიშნული ხშირად გადააძწვევტ ფუნქციას ასრულებს. დაწესებულების ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილებისას ადმინისტრაცია პატიმრებს აიძულებს ზურგზე დაიწყოს ხელები, მაშინაც კი, როდესაც პატიმრის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პატიმარს ეკრძალება სასაქონლო გასვლა და ეზღუდება ზოგიერთი სხვა უფლება, მაგალითად, ტელეფონით სარგებლობა. ხშირად, პატიმრები თავადაც ერიდებიან სასაქონლო გასვლას, რადგან ყოველი გადაადგილება თანამშრომლებთან კონფლიქტის წარმოშობის წყარო შეიძლება გახდეს. აღნიშნულის თაობაზე განმარტებისთვის მივმართეთ დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელმაც უარყო ამ პრაქტიკის არსებობა, თუმცა პატიმრები ერთხმად ადასტურებენ ამგვარ პრაქტიკას. გაურკვეველი აკრძალვებია დაწესებული მაღაზიით სარგებლობის დროს, მაგალითად, პატიმრებს უფლება არ აქვთ შეიძინონ ყავა, ჩაი და მადულარა. აღნიშნული ნივთების შეძენა დაწესებულების ადმინისტრაციისთვის რეჟიმის მოთხოვნების დარღვევად ითვლება. მიგვაჩნია, რომ სამკურნალო დაწესებულებაში ამგვარი შეზღუდვების არსებობა დაუშვებელია, ვინაიდან რეჟიმის მოთხოვნები არ უნდა აზარალებდეს პაციენტს.

სახალხო დამცველი თავის 2009 წლის I ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში მიუთითებდა, რომ კვების განსაკუთრებული რეჟიმის გამო გეგუთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მხოლოდ რამდენიმე საათი უწევდათ სუფთა ჰაერზე ყოფნა, რაც არანაირად არ შეესაბამებოდა მათ რეჟიმს. იგივეა აღნიშნული CPT-ის 2010 წლის ანგარიშშიც. CPT-მ აღნიშნულის გამოსასწორებლად გასცა რეკომენდაცია და

მოითხოვა მსჯავრდებულთა კვების სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ აღნიშნულით ხელი არ შეეშალოს მსჯავრდებულთა სუფთა ჰაერზე ყოფნას.<sup>48</sup>

ევროპული ციხის წესების თანახმად, „ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას“<sup>49</sup>.

„რეჟიმი საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს ყოველდღიურად თავიანთი საკნების გარეთ გაატარონ ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონის შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარე რაც შეიძლება მეტი დრო“<sup>50</sup>. „რეჟიმი ასევე უნდა პასუხობდეს პატიმრის კეთილდღეობის საჭიროებებს“<sup>51</sup>.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:** შემუშავდეს დღის წესრიგის უნიფიცირებული ფორმა, რომელიც არ დააწესებს კანონით გათვალისწინებულზე მეტ შებლუდვებს და უსაფრთხოების და წესრიგის გარდა, ორიენტირებული იქნება პატიმრებისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების უზრუნველყოფაზე.

## 7. დისციპლინა და დასჯა

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც უკიდურესი საშუალება<sup>52</sup>.

„ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის“<sup>53</sup>.

„მხოლოდ ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას, შეიძლება ჩაითვალოს როგორც დისციპლინური გადაცდომა“<sup>54</sup>.

პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე იმ გადაცდომის შესახებ, რომლისთვისაც ისჯება, შეფარდებული სასჯელის შესახებ, ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის, ასევე, დისციპლინური ზომის გასაჩივრების საშუალება.

CPT-მ აღნიშნა, რომ დისციპლინური სასჯელები სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვანაირად გამოიყენება და რეკომენდაციას იძლევა უნიფიცირებული წესების შემოღებაზე. კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ მდგომარეობა უნდა შეიცვალოს გეგუთის N8 დაწესებულებაში, სადაც განსაკუთრებით ხშირად ხდება პატიმრების კარცერში მოთავსება.<sup>55</sup>

<sup>48</sup> პარ. 77

<sup>49</sup> 25.1-ე წესი;

<sup>50</sup> 25.2 -ე წესი;

<sup>51</sup> 25.3 -ე წესი;

<sup>52</sup> 56.1-ე წესი

<sup>53</sup> 56.2-ე წესი

<sup>54</sup> 57.1-ე წესი

<sup>55</sup> პარ. 114

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროს გეგუთის N14, დაბა-ქსნის N7 დაწესებულებების კარცერში მოთავსებული პირების უმეტესობამ არ იცოდა რა გადაცდომისთვის და რამდენი ხნით იყვნენ დასჯილები. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული, მისთვის გაურკვეველი მიზეზით და ვადით, ღია ტიპის დაწესებულებიდან გადაჰყავთ დახურული ტიპის დაწესებულებაში.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:**

- შემუშავდეს დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების უნიფიცირებული წესები;
- უზრუნველყოფილი იქნას დისციპლინური სახდელის დადების დროს პატიმრის ინფორმირება, მისთვის გასაგებ ენაზე, იმ გადაცდომის შესახებ, რომელშიც ედება ბრალი. ასევე, დისციპლინური სახდელის სახის და ვადის თაობაზე;
- უზრუნველყოფილი იქნას მსჯავრდებულთა ინფორმირება დისციპლინური სახდელის გასაჩივრების კანონით დადგენილი წესებისა და პროცედურების თაობაზე.

**8. საკანონმდებლო ცვლილებები**

2010 წლის 01 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი პატიმრობის კოდექსი. აღნიშნული მისასაღმებელია. ამასთან, კოდექსმა დაამკვიდრა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე, მაგალითად, კანონში პირდაპირ განისაზღვრა, რომ მსჯავრდებული სასჯელს უნდა იხდიდეს თავისი ან ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარე დაწესებულებაში, ასევე, ზოგიერთი აკრძალვა, რომელიც წესის სახით იყო მოცემული „პატიმრობის შესახებ კანონში“, კოდექსის მიხედვით გამონაკლისს წარმოადგენს (მაგალითად, ტელევიზორის ქონის უფლება). მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ რიგ საკითხებში პატიმრობის კოდექსი არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ხოლო მისი ზოგიერთი დისპოზიცია აუარესებს კიდევ პატიმრების მდგომარეობას.

1. კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მსჯავრდებულს უფლებას აძლევს, მიიღოს მხოლოდ ზოგადი და პროფესიული განათლება; აღნიშნულ საკითხს შეეხება ამ კოდექსის 113-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც. მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულს მიეცეს უმაღლესი განათლების მიღების უფლებაც, თუნდაც ეს უფლება პირობადებული იყოს. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, სასჯელაღსრულების და განათლების მინისტრებმა ჩამოაყალიბეს დისტანციური სწავლების საერთო კონცეფცია, რომლის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ მსჯავრდებულებს საერთოდ აღარ ექნებათ უმაღლესი განათლების მიღების საშუალება.
2. მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: „*ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საერთაშორისო*

ორგანიზაციის, რომელიც შექმნილია საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, სამინისტროს, დეპარტამენტის, სახალხო დამცველის, დამცველის, პროკურორისათვის, გაგზავნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადება და საჩივარი.“ არამართებულია მხოლოდ განცხადებისა და საჩივრის შემოწმებისა და შეჩერების აკრძალვა, რადგანაც ანალოგიური დაცულობით უნდა სარგებლობდეს ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაციაც, რომელიც ზემოხსენებულ ორგანოებს თავისუფლებაადკვეთილ პირთაგან ეგზავნებათ. ეს შეიძლება იყოს ახსნა–განმარტება, წერილი და სხვა.

3. მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლება. პირთა ნუსხა, რომელთაგანაც შეხვედრის უფლება აქვს თავისუფლებაადკვეთილ პირს, გაზრდილია, რაც მისასაღმებელია, თუმცა მნიშვნელოვანია, ჩამონათვალში შედიოდნენ მეგობრებიც, როგორც ამას ითვალისწინებს გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები: „აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან.“<sup>56</sup>
4. მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს, რომ პაემნის დროს ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატივისა და ღირსების შეუბღალავად. მიგვაჩნია, რომ აქვე უნდა იყოს მოხსენიებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მისი საკონტაქტო პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის ვალდებულებაც.
5. მე-19 მუხლის 1–ლი ნაწილით აკრძალულია ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი. აღნიშნულის ცალსახა აკრძალვა არ მიგვაჩნია მართებულად. უნდა არსებობდეს სატელეფონო საუბრის განხორციელების უფლება ახლო ნათესავებთან, რომელთა ნუსხაც მოცემულია კოდექსში, თუ ისინი სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიან სასჯელს. კანონმდებელს შეუძლია, განსაზღვროს ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები (მაგ. გამოძიების ინტერესები, უსაფრთხოება). შესაბამისად, ყოველი ასეთი შეზღუდვა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ჯეროვნად უნდა იყოს დასაბუთებული კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.
6. მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს, წინასწარი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობით, დაწესებულების ტიპით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს პირადი

<sup>56</sup> 37–ე წესი

რადიომიმღები და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების დებულებას და სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. მათ აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინონ თავიანთი ხარჯებით ან მიიღონ ახლო ნათესავებისაგან. პირადი ტელევიზორისა და რადიომიმღების ქონის უფლება უნდა იყოს დაშვებული, ხოლო ადმინისტრაციას ჰქონდეს უფლება, კონკრეტულ შემთხვევებში დასაბუთებულად შეუზღუდოს თავისუფლებააღკვეთილ პირებს ამ უფლებით სარგებლობა (მაგ. იმ შემთხვევაში, თუ საკანში მოთავსებული 6 მსჯავრდებულისაგან 6-ვე მოინდომებს საკუთარი ტელევიზორის ქონას).

7. კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილში, სადაც საუბარია ადმინისტრაციის ვალდებულებაზე, უზრუნველყოს მსჯავრდებულთათვის თეთრეულის მიწოდება და სისუფთავე, უნდა ჩაემატოს თეთრეულის გამოცვლის მინიმალური პერიოდულობა.
8. 23-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ მოწყვლად ჯგუფს უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რომ იმ პირთათვის (მაგ., არასრულწლოვნები, ქალები), რომელთა სპეციფიკური კვებაც არ არის განსაზღვრული ჯანდაცვის კანონმდებლობით, კვების პირობები განისაზღვრება სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის კანონქვემდებარე აქტით.
9. 23-ე მუხლის მე-6 ნაწილში, რომელიც დამატებითი საკვების მიღების უფლებას შეეხება, ჩანაწერი „დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით“, რაც ძალიან ზოგადია და პრაქტიკაში შეიძლება დისკრიმინაციული ხასიათი მიიღოს, უმჯობესია, შეიცვალოს სიტყვებით „დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში“. ამგვარ შემთხვევებად შეგვიძლია მოვიანროთ ავადმყოფობა, ალერგია, სახსრების უქონლობა და ა.შ.
10. კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით ბრალდებულს/მსჯავრდებულს საკუთარი ხარჯებით გააჩნია პირადი ექიმის მოწვევის შესაძლებლობა.“ საკუთარი სახსრებით ექიმის მოწვევის უფლება პირდაპირ გამომდინარეობს მკურნალი ექიმის არჩევის უფლებიდან, რაც პაციენტის ინდივიდუალური უფლებაა<sup>57</sup> და მისი შეზღუდვა დაუშვებელია კანონმდებლობით. შესაბამისად, აღნიშნული უფლება, პატიმრებთან მიმართებაში,

<sup>57</sup> პაციენტის უფლებების ევროპული ქარტიის V თავის მიხედვით, „ყველას უფლება აქვს თავისუფლად აირჩევინ გააკეთოს განსხვავებული სამკურნალო პროცედურებიდან და ჯანდაცვის მომსახურებების განსხვავებულ მიმწოდებლებს შორის, ადეკვატური ინფორმაციის საფუძველზე.“

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 8 აპრილის რეკომენდაციის Rec 98(7) „ციხის ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული საკითხების შესახებ“, პარაგრაფი 17: „ (...) მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მეორე სამედიცინო აზრი. აღნიშნული მოთხოვნა ციხის ექიმმა კეთილგანწყობით უნდა განიხილოს. (...)“

უნდა არსებობდეს დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. მხოლოდ განსაკუთრებული მოსაზრებებიდან გამომდინარე (მაგ., უფლების ბოროტად გამოყენება) უნდა იყოს შესაძლებელი, თავისუფლებადკვეთილ პირს დასაბუთებული უარი ეთქვას ამ უფლების განხორციელებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ციხის სამედიცინო პერსონალის მისაღებია.<sup>58</sup> აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ექიმს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, შუამდგომლობით მიმართოს დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრდებულის მიერ მოთხოვნილი ექიმის დაწესებულებაში დაშვების თაობაზე. ნებისმიერი ამ უფლების შეზღუდვა ინდივიდუალურად უნდა იყოს დასაბუთებული.

- 11.27-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის პირობებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კრიტერიუმები არ უნდა იყოს პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობების იდენტური – ხანმოკლე გასვლის უფლება არ უნდა გახდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების ალტერნატივა.
- 12.27-ე მუხლის მე-5 ნაწილში ნათქვამია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია, კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც მისცეს მსჯავრდებულს ხანმოკლე გასვლის უფლება. აღნიშნულ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს, რა მოიაზრება იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია, ვადების დაუცველად მისცეს უფლება მსჯავრდებულს, ისარგებლოს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.
- 13.34-ე მუხლში უნდა დაზუსტდეს ბრალდებულის დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში გასაგზავნი შეტყობინების ფორმა (წერილობითი ან ზეპირი). იგივე შენიშვნა ვრცელდება 76-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც.
- 14.46-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ გადატვირთულობის შემთხვევაში მსჯავრდებული შეიძლება მოათავსონ მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებლისგან მოშორებით მდებარე დაწესებულებაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის ფორმულირებაში ტერმინი „გადატვირთულობა“ უმჯობესია, შეიცვალოს ტერმინით „ლიმიტი შევსებულია“. იგივე შენიშვნა შეეხება 51-ე მუხლის 1-ლ ნაწილს.
- 15.34-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ისევე, როგორც 47-ე მუხლის მე-4 ნაწილი დაწესებულების ადმინისტრაციას ავალდებულებს, შეტყობინება გააგზავნოს მსჯავრდებულის მიღების შესახებ. პირველ შემთხვევაში მითითებულია, რომ

<sup>58</sup> იმავე რეკომენდაციის მე-17 პარაგრაფის მესამე წინადადება: „ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საბოლოო ჯამში ექიმის პასუხისმგებლობაში შედის.“

შეტყობინების ადრესატები უნდა იყვნენ ახლო ნათესავი და განაჩენის გამომტანი სასამართლო, ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლო აღარ არის ნახსენები. ამგვარად, ეს ორი დისპოზიცია სხვადასხვანაირად არეგულირებს ერთსა და იმავე სიტუაციას – მსჯავრდებულის პირველად მიღებას ს/ა დაწესებულებაში, მაშინ, როდესაც 51-ე მუხლში, რომელიც მსჯავრდებულის გადაყვანას არეგულირებს, არ არის განსაზღვრული მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების შეცვლის შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულება, მით უმეტეს, რომ მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ამგვარი შეტყობინების გაუგზავნელობის გამო.

16. კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საბჭო ზეპირი მომსმენის გარეშე, მინისტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით ადგენს, დაუშვას თუ არა პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობა ზეპირ მოსმენაზე. სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანება განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლების მიხედვითაც უნდა შედგეს წინასწარი (ზეპირი მოსმენის გარეშე) შეფასება. აღნიშნული კრიტერიუმები – დანაშაულის სიმძიმე, პირის ქცევა, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები (რაც, ბრძანების მიხედვით, მოიცავს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან), სასამართლეობა – თავისთავად წარმოადგენს პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობებს. შესაბამისად, თუ მათი პირველადი შეფასება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე და მით უმეტეს, ამგვარი შეფასების შედეგად საქმე აღარ განიხილება ზეპირი მოსმენით, პრაქტიკულად აზრი ეკარგება ზეპირ მოსმენაზე მსჯავრდებულის და/ან მისი ადვოკატის დასწრებას. უმჯობესი იქნებოდა, ისეთი სუბიექტური საკითხები, როგორებიცაა მსჯავრდებულის პიროვნება ან მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, განხილული ყოფილიყო მხოლოდ ზეპირ მოსმენაზე, მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თავისთავად კრიტერიუმების ნათლად ჩამოყალიბება და შეფასების სისტემის შემოღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასება მოხდება ზეპირი მოსმენის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასება ფორმალური იქნება და ბოლომდე ვერ ასახავს მსჯავრდებულის რეალურ მდგომარეობას.

17. 48-ე მუხლის მე-2 ნაწილში ტერმინი „საშიში რეციდივი“ ამოსაღებია სისხლის სამართლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

18. 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ს/ა დაწესებულებაში განცალკევებით უნდა მოთავსდნენ ტრეფიკინგის (143<sup>1</sup>) და არასრულწლოვნით ვაჭრობის (143<sup>2</sup>) დანაშაულში დაზარალებულები. აღნიშნული დისპოზიციის მიზანი გაურკვეველია.



19. 54-ე მუხლის ფორმულირება, რომელიც აუდიო-ვიდეო კონტროლის უფლებას იძლევა „*ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით*“, ძალიან ზოგადია და ზედმეტ დისკრეციას ანიჭებს ადმინისტრაციას. ამგვარი კონტროლის გამოყენების ყოველი შემთხვევა სათანადო და ინდივიდუალურ დასაბუთებას უნდა მოითხოვდეს, ხოლო ამგვარი დასაბუთების ვალდებულება კანონში უნდა აისახოს.
20. 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და აცნობებს სამედიცინო მუშაკს. აღნიშნული დისპოზიცია ეწინააღმდეგება გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს – 33-ე წესის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „*დირექტორი მოვალეა, რომ ექიმთან წინასწარ დაუყოვნებელი კონსულტაციის შემდეგ მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.*“
21. მე-60 მუხლის მე-3 ნაწილით უნდა განისაზღვროს ის ზოგადი კრიტერიუმები, რომლებითაც დეპარტამენტის თავმჯდომარე იხელმძღვანელებს აუდიო-ვიდეო ტექნიკის შეტანის ნებართვის გაცემისას.
22. 61-ე მუხლის მე-4 ნაწილით უნდა განისაზღვროს დებულების დარღვევის შემთხვევაში დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის მაქსიმალური ხანგრძლივობა, ასევე მისი ნახევრად ღია ტიპის ს/ა დაწესებულებაში დაბრუნების პირობები.
23. 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ბრალდებულის გადაყვანის შესახებ შეტყობინების გაგზავნას. მიგვაჩნია, რომ აქაც შეტყობინების და მისი დოკუმენტირების ფორმა უნდა დაკონკრეტდეს.
24. 95-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „*მოთხოვნა დაუყოვნებლივ რეგისტრირდება დაწესებულების კანცელარიაში, ხოლო რეგისტრაციის ნომერი გადაეცემა ბრალდებულს/მსჯავრდებულს.*“
25. 97-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაწესებულებაში მოხვედრისას მსჯავრდებულს უნდა გააცნონ მისი უფლებები, მათ შორის, საჩივრის და გასაჩივრების უფლება. სასურველია, კანონით განისაზღვროს, რომ გათვალისწინებული ინფორმირება თავისუფლებააღკვეთილმა პირმა უნდა დაადასტუროს წერილობით (შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით).
26. 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირება დასახვეწია, რადგანაც არსებული რედაქციით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირს სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის მიმართვის უფლება მხოლოდ დირექტორის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის აქვს, რაც ეწინააღმდეგება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონს.

27. 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს და ეროვნულ პრევენციულ ჯგუფს.“

### **III საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორები**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში განახორციელეს 43 გეგმიური და 25 არაგეგმიური ვიზიტი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს ხელმძღვანელობდა ევროპულ ციხის წესებში<sup>59</sup> და ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებში ჩამოყალიბებული სტანდარტებით.

პოზიტიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ არცერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში მონიტორინგის ჯგუფის წევრებს დაბრკოლებები არ შექმნიათ, ადმინისტრაციამ სრულად ითანამშრომლა მონიტორინგის ჯგუფთან.

ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 თებერვლის N108 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც ხელმძღვანელობს დროებითი მოთავსების იზოლატორების ადმინისტრაცია. თავად ის ფაქტი, რომ გარკვევით ჩამოყალიბდა იზოლატორების ფუნქციონირების წესები მისასაღებელია, თუმცა ზემოაღნიშნული ბრძანების ზოგიერთი დისპოზიცია არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს დმი-ში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და პირველადი სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალები. დოკუმენტაციის შემოწმებისას, ასევე, დაკავებულ პირებთან გასაუბრებისას ყურადღება გამახვილდა მათთან მოპყრობაზე, დაკავებისას პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაზე, დმი-ს თანამშრომლების დამოკიდებულებაზე დაკავებულთა მიმართ. დათვალიერდა ინფრასტრუქტურა, მათ შორის, საკნები,

<sup>59</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).

საგამომიებო ოთახები, ინვენტარი, საკვების შენახვის პირობები. ადმინისტრაციასთან და დაკავებულებთან/პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა კვების, შხაპის მიღების, სუფთა ჰაერზე ყოფნის პერიოდულობა .

## 1. მოპყრობა

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში მონიტორინგის ჯგუფის მიერ არ აღმოჩენილა დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსების შემდეგ მიღებული დაზიანების არცერთი შემთხვევა, თუმცა იზოლატორში მოთავსების წიგნების ჩანაწერებში ზოგჯერ დაფიქსირებულია დაზიანებები, რომელთა მიღების დროდ დაკავების შემდგომი პერიოდია მითითებული. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი დმი–ში ხვდება სხვადასხვა სახის დაზიანებებით. ყველა დმი–ში დამკვიდრებულია არამართებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, თუ თავად დაკავებული არ აცხადებს პრეტენზიას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, დაზიანებების შესახებ არ ეცნობება პროკურატურას.

დაკავებულის პრეტენზიის შემთხვევაში, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის ადმინისტრაცია, როგორც წესი, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს ზედამხედველ პროკურორს, თუმცა ამ შემთხვევაშიც რეაგირება საკმაოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ხშირად დაზარალებულს არ უტარდება სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

წამების პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაზიანებების სრული და კომპეტენტური აღრიცხვა. ამ თვალსაზრისით თითქმის ყველა დმი–ში დაფიქსირდა პრობლემები – ჩანაწერები გაკეთებულია არაკომპეტენტურად, კერძოდ, დაზიანებები მითითებულია ისე, რომ გაუგებარია მათი სახეობა და ლოკალიზაცია, ზოგჯერ არ არის მითითებული მათი წარმოშობა და დაკავებულის კომენტარი.

CPT-ის 2010 წლის 5–15 თებერვლის ვიზიტის საქართველოს მთავრობისადმი ანგარიშში უარყოფითად არის შეფასებული დმი–ში განთავსების დროს გარეგნული დათვალეირების არამართებული პრაქტიკა, რაზეც ასევე არაერთხელ იყო საუბარი სახალხო დამცველის ანგარიშებში. კერძოდ, პირის გარეგნულ დათვალეირებას თბილისის N1 და N2 დმი–ების გარდა, რომლებსაც ემსახურება ექიმი, ატარებს მორიგე ოფიცერი, რომელსაც ასევე ხელი მიუწვდება ყველანაირ სამედიცინო ჩანაწერზე. ამგვარად, არ არის დაცული სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობა. გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ოფიცრის დასწრება ექიმთან გასაუბრებაზე ხელს შეუშლის დაზარალებულ პირს, ღიად განაცხადოს დაზიანებების წარმოშობის შესახებ. CPT–ის რეკომენდაციას, გარეგნული დათვალეირება ჩატარდეს მხოლოდ ექიმის მიერ, ასევე, დაცული იყოს სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალობა. იმ შემთხვევაში, თუ პირს აღენიშნება დაზიანებები და მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე, მას მყისიერად უნდა ჩაუტარდეს სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა დამოუკიდებელი ექიმის მიერ, რომელიც ამავდროულად შეაფასებს პირის განაცხადის შესაბამისობას დაზიანებების ხასიათთან.<sup>60</sup>

<sup>60</sup> პარ. 23

CPT აღნიშნავს, რომ იმ იზოლატორებში, სადაც ადგილზე არ არის ექიმი, ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება. სახალხო დამცველიც კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დაკავებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში დმი–ს ადმინისტრაცია ყოველთვის იძახებს სასწრაფო დახმარებას, თუმცა პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატისტიკა ბევრად უფრო არასახარბიელოა – ხშირად, ექიმის რეკომენდაცია სტაციონირების ან რომელიმე სპეციალისტის კონსულტაციის შესახებ არ სრულდება (დაწვრილებით იხ. ქვემოთ, „ნ. სამედიცინო დახმარება“).

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ დმი–ებში არ არის ხელმისაწვდომი ფსიქიატრიული დახმარება, რომელიც აუცილებელია ფსიქიკური პრობლემების, ასევე ალკოჰოლური ან ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე პირებისთვის, რომელთა 72 სთ–ით დაკავებამ შეიძლება სერიოზული კლინიკური პრობლემები გამოიწვიოს. კომიტეტის თქმით, იზოლატორების თანამშრომლებს არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის შესახებ. CPT–ის რეკომენდაციაა, ამგვარი შემთხვევების დროს ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს სამედიცინო დახმარება და სპეციალისტის კონსულტაცია.<sup>61</sup> მონიტორინგის ჯგუფთან საუბრისას ზოგიერთი დმი–ს ადმინისტრაცია უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სათანადო პირობები და საშუალებები წამალდამოკიდებული ან ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისათვის, რაც ბევრ პრობლემას უქმნით მუშაობაში.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: აღნიშნულ პირთა უფლება შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ აირჩევს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს), უფლება ადვოკატზე და უფლება მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ). წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, ეს არის სამი ძირითადი საშუალება დაკავებული პირების სასტიკი მოპყრობისაგან დასაცავად, რომელიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აისახება ეს ეტაპი ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში (დაკავება, თავისუფლების აღკვეთა, სხვ.).

რაც შეეხება შეტყობინების უფლებას, პრევენციული ჯგუფი ხშირად შეხვედრია დაკავებულებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ არ მიეცათ საშუალება, დაკავშირებოდნენ ოჯახის წევრებს. კომიტეტმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავებული პირის უფლებას, შეატყობინოს ახლობლებს დაკავების შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში ეს უფლება არასათანადოა რეალიზებული. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არამართებული პრაქტიკა სწორედ კანონმდებლობის ხარვეზით არის გამოწვეული, რომელშიც, მართალია, მოხსენიებულია შეტყობინების უფლება, თუმცა არ არის დაზუსტებული, რა ეტაპზე და ვის მიერ უნდა განხორციელდეს იგი.

<sup>61</sup> პარ. 28

**წინადადება საქართველოს პარლამენტს:** კანონმდებლობაში დაზუსტდეს დაკავებისას სატელეფონო შეტყობინების განხორციელების წესი და პროცედურები.

**რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- მოხდეს დაზიანებათა აღწერის უნიფიცირებული სისტემის დანერგვა;
- უზრუნველყოფილ იქნეს დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების ტრენინგები დაზიანებების ჯეროვნად დოკუმენტირების სფეროში;
- დმი–ს თანამშრომელთა მიერ პროკურატურის ინფორმირება მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს დაზიანებები მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ პერიოდში;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილ იქნეს ექიმის შტატის დამატება;
- დმი–ში მოთავსებისას გარეგნული დათვალიერება ჩატარდეს სამედიცინო პერსონალის მიერ; დაცული იქნეს სამედიცინო ჩანაწერების კონფიდენციალობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ გაცემული რეკომენდაციების რეგულარული შესრულება;
- უზრუნველყოფილ იქნეს წამალდამოკიდებულ და ფსიქიკური პრობლემების მქონე დაკავებულთა ჯეროვანი სამედიცინო დახმარება და მეთვალყურეობა.

**რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურატურას:** უზრუნველყოფილ იქნეს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ მიღებულ დაზიანებებზე წარმოებული გამოძიების ეფექტურობა და დროულობა. ყოველ ფაქტზე სავალდებულო წესით და დროულად იქნეს დანიშნული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

## **2. საყოფაცხოვრებო პირობები**

2009 წელს საპარლამენტო მოხსენებაში სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, თითოეული დაკავებულზე გათვალისწინებული ყოფილიყო 4 კვ.მ. ფართი, რაც რეკომენდებულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ<sup>62</sup>, თუმცა დღემდე მარნეულის, ამბროლაურის, თბილისის N1 და ბათუმის დმი–ს ზოგიერთი საკნის გარდა თითოეულ დაკავებულზე გამოყოფილი ფართი არ აკმაყოფილებს 4 კვ.მ. სტანდარტს.

მიუხედავად იმისა, რომ რემონტდება და ექსპლუატაციაში შედის ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორები, დღემდე ფუნქციონირებს ის დმი–ები, რომელთა ლიკვიდაციის რეკომენდაციაც გასცა სახალხო დამცველმა. ესენია გორის დმი, სამტრედიის დმი, ცაგერის და ხაშურის დმი.

<sup>62</sup> საუბარია საკნებზე, რომლებიც 2 ან რამდენიმე პირისთვისაა განკუთვნილი. საკნებისთვის, რომლებიც ერთ პირზეა გათვლილი, სტანდარტი შეადგენს 7მ<sup>2</sup>-ს, თუმცა სამართლო საკნების ფუნქციონირება CPT-ის მიერ არ არის რეკომენდებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკანი მხოლოდ დასაძინებლადაა განკუთვნილი, ხოლო დღის დანარჩენ ნაწილს თავისუფლებააღკვეთილი პირი საკნის გარეთ ატარებს და აქვს სხვებთან კონტაქტის საშუალება.

არცერთ იზოლატორში დაკავებულებს/პატიმრებს არ მიეწოდებათ თეთრეული. მათ ეძლევათ მხოლოდ გადასაფარებლები. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ გადასაფარებლები, საუკეთესო შემთხვევაში, ირეცხება თვეში ერთხელ, შესაბამისად, იქმნება სხვადასხვა დაავადებების და პარაზიტების გავრცელების საფრთხე. გამონაკლისს წარმოადგენს ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დაკავებულებისათვის სუფთა გადასაფარებლის მიწოდებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, *1. იზოლატორში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს.*

*ციხის ევროპული წესების 19.4-ე წესის თანახმად, ადეკვატური შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაჯანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში თუ ეს შესაძლებელია ყოველდღიურად, ან სულ მცირე კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც) ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანებაში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული დაკავებულებისათვის/პატიმრებისათვის შხაპის მიღების შესაძლებლობა, აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის პირველი ნაწილში ჩამოყალიბებულია ის პირობები, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორში უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორს ან არ გააჩნია საშხაპე ოთახი (მარნეულის, ბოლნისის, დუშეთის, ყაზბეგის, გორის, ხაშურის, ახალქალაქის, ბორჯომის, ზესტაფონის და სამტრედიის დმი) ან საშხაპის არსებობის მიუხედავად, პატიმრებს არ ეძლევათ შხაპის მიღების შესაძლებლობა (მაგ. თბილისის N2, გარდაბნის და კახეთის რეგიონული დმი).

ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში არ არის გათბობის არანაირი საშუალება, რაც დაკავებულებს/პატიმრებს არაადამიანურ პირობებში აყენებს. ესენია მარნეულის, ბოლნისის, ყვარლის, გორის, ხაშურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, თერჯოლის, ჭიათურის, ბაღდათის, სამტრედიის, ამბროლაურის, მესტიის, ცაგერის, ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორები და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული დმი.

დროებითი მოთავსების იზოლატორების დიდ ნაწილში არ არის საკმარისი განათება და ვენტილაცია, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ გააჩნია ფანჯარა ან იგი იმდენად მცირე ზომისაა, რომ ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას.

ციხის ევროპული წესების თანახმად, *„ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე სათანადო ქვეშაგებით, რომელიც მოწესრიგებულ*

მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იქნეს დაცული<sup>63</sup>.

მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში საწოლების მაგივრად გამოიყენება ფიცარნაგი.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების ჯეროვანი სისტემა<sup>64</sup>; „ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს<sup>65</sup>“.

დმი-ების უმრავლესობაში საპირფარეშოები საკნებშია განთავსებული და არ არის იზოლირებული. ეს შეეხება ახლად გარემონტებულ იზოლატორებსაც, მაგალითად, ამბროლაურის დმი-ს. ციხის ევროპული წესების 19.3 წესის თანახმად, „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საპირფარეშოებზე, რომლებიც უნდა იყოს ჰიგიენური და იძლეოდეს განმარტობის საშუალებას<sup>66</sup>“.

### **რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- თითოეული დაკავებულისათვის უზრუნველყოფილი იქნეს 4 კვ.მ. ფართი;
- ყველა დმი-ში ლიკვიდირებულ იქნას ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილი იქნას ინდივიდუალური საწოლით;
- თითოეული დაკავებული/პატიმარი უზრუნველყოფილი იქნეს სუფთა თეთრეულით, რომელიც, ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა შემთხვევაში, გამოიცვლება სათანადო რეგულარობით;
- 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულთათვის უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი რეგულარობით შხაპის მიღების საშუალება;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე, უზრუნველყოფილი იქნეს საკნების სათანადო განათება და ვენტილაცია, მათ შორის, ბუნებრივი გზით. მოხდეს იმ იზოლატორების ლიკვიდაცია, რომლებშიც, ინფრასტრუქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სათანადო პირობების შექმნა;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს საპირფარეშოს იზოლირება.

### **3. სუფთა ჰაერზე ყოფნა**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად, „გასეირნება ტარდება მხოლოდ იმ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირებისათვის, რომელთაც განსაზღვრული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა

<sup>63</sup> 21 წესი

<sup>64</sup> 18.2 წესი – „ა“.

<sup>65</sup> 18.2 წესი – „ბ“

<sup>66</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).

ადმინისტრაციული სახდელის სახით, არანაკლებ 15 დღის ვადით“.

„გასასეირნებლად გაყვანა ხორციელდება დღისით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, იზოლატორის უფროსის მიერ შედგენილი გრაფიკით. გასეირნების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 საათით“.

„იზოლატორში, სადაც არ არის მოწყობილი სპეციალური გასასეირნებელი ეზო, გასეირნება ხორციელდება საქართველოს შს ორგანოს ადმინისტრაციულ შენობასთან ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც წესი ბადრაგის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლის თანხლების გარეშე. აღნიშნულ ტერიტორიაზე გასეირნებისას, დაკავებულ პირზე შენარჩუნებულ უნდა იქნეს ვიზუალური მეთვალყურეობა. გასეირნებამდე, იზოლატორის უფროსი წერილობით აფრთხილებს დაკავებულ პირს, რომ მას, გაქცევის შემთხვევაში დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს არცერთ თანამშრომელს, ზემოაღნიშნული ინციდენტების შემთხვევაში რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება“.

27.1 წესი – ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას<sup>67</sup>.

CPT-მ საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, უზრუნველყოფილი იქნეს 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულთა/პატიმართა ყოველდღიური გასეირნების უფლება. შესაბამისად, საჭიროა ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორს ჰქონდეს საკუთარი სასეირნო ეზო.

ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც მსჯავრდებულებს აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი არამართო ყოველდღიური გასეირნების უფლებით უნდა სარგებლობდნენ, არამედ უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეხვდნენ ოჯახის წევრებს, რასაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2009 წლის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორები არ არის ადაპტირებული და შესაბამისად, არ აკმაყოფილებს ხანგრძლივი მოთავსებისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, სასურველია, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების განთავსებისათვის შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები.

**რეკომენდაცია შინაგან საქმეთა მინისტრს:** შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს ბრძანება N108–ში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრების ყოველდღიური გასეირნება.

**რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას:** საქართველოს ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების განთავსებისათვის შეიქმნას სპეციალური

<sup>67</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).



**დაწესებულებები, რომლებშიც სათანადო პირობები იქნება შექმნილი პირის ხანგრძლივი განთავსებისათვის.**

#### **4. კვება**

CPT კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი უკანასკნელი ვიზიტის შემდგომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დაკავებულთა საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, კერძოდ, უზრუნველყოფილია დაკავებულთა სამჯერადი კვება.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ასევე დაშვებულია ამანათის სახით საკვები პროდუქტების შეგზავნა. თავად დმი–ს ადმინისტრაციის მიერ დაკავებულებს მიწოდებათ სტანდარტული საკვები – პური, კონსერვის პაშტეტი და პაკეტის მშრალი სუპი. აღნიშნული საკვები არასრულფასოვანია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება 90 დღემდე მოუწიოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნა.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, *„ციხის მმართველობამ ყოველი პატიმარი უნდა უზრუნველყოს ჩვეულ საათებში ისეთი საკვებით, რომელიც იქნება საკმარისად კარგი ხარისხის, კარგად დამზადებული და მიწოდებული და აგრეთვე, საკმარისად ნოყიერი, ძალების აღსადგენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად“<sup>68</sup>.*


**რეკომენდაცია** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
**დაკავებულებისათვის/პატიმრებისათვის** უზრუნველყოფილ იქნას **სამჯერადი**  
**სრულფასოვანი კვება.**

#### **5. სამედიცინო მომსახურება**

2010 წლის პირველ ნახევარში (იანვარი – ივნისი) ჩატარებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელდა საქართველოს 11 რეგიონის 43 დმი–ის სამედიცინო მონიტორინგი. ამით პრაქტიკულად მოცული იქნა ქვეყნის მთელი ტერიტორია, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება.


მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ, სულ, 43–ვე დმი–ში შეყვანილია 10.433 პირი. რეგიონების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი წარმოდგენილია გრაფიკულად:

<sup>68</sup> წესი 20




შეყვანილ პირთაგან დაზიანება აღენიშნებოდა 2769 დაკავებულს, ანუ საერთო რაოდენობის 26.56%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დმი-ში შეყვანილ ყოველ მეოთხე პირს აღენიშნებოდა სხეულის ამა თუ იმ სახის ფიზიკური დაზიანება, რომელიც აღწერილ იქნა იზოლატორის თანამშრომელთა მიერ. მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე ფაქტი, რომელთა მიხედვითაც აშკარაა, რომ დაზიანებების აღწერა დმი-ში არ მომხდარა (აღნიშნული შემთხვევებში დაკავებულ პირთა შემოწმება ჩატარდა სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში). აღნიშნული კი იმაზე გვაფიქრებინებს, რომ ყველა დმი-ში ფიზიკურ დაზიანებათა სრულყოფილი აღწერა არ ხდება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფაქტები გამონაკლისის სახით გვხვდება და სისტემური ხასიათი არ აქვს.

დმი-ში დაზიანებით შეყვანილი პირების კომენტარების მიხედვით, რომლებიც სარეგისტრაციო ჟურნალებშია დაფიქსირებული, ირკვევა, რომ დაკავებულთა 73.61%-მა დაზიანება მიიღო დაკავებამდე; 6.62%-მა დაზიანება მიიღო დაკავების დროს, 0.43%-ს არ ახსოვს, თუ სად და რა ვითარებაში მიიღო დაზიანება; 0.32% აღნიშნულს შეგნებულად არ განმარტავს, ხოლო 0.25% აღნიშნავს, რომ მათ სხეულის ფიზიკური დაზიანებები მიღებული აქვთ დაკავების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა 18.77%-ში დმი-ის თანამშრომელთა მიერ საერთოდ არ არის დაფიქსირებული დაკავებული პირის კომენტარი დაზიანების მიღებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღნიშნული ინფორმაციის მითითების შესახებ არ შესრულდა. ინფორმაციის მიუთითებლობის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც ცხრილიდან ჩანს, დაზიანებების მიღების ვითარებასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად არ მიუთითებენ თბილისის დმი-ებში, რაც ძირითად წილად თბილისის N1 დმი-ზე მოდის (არცერთ შემთხვევაში არ არის აღნიშნული ინფორმაცია მითითებული). ამ მხრივ პრობლემური რეგიონებია, ასევე, კახეთი და სამეგრელო-ქვემო სვანეთი. რაც შეეხება მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებს, აღნიშნული პრობლემა აქ პრაქტიკულად არ დგას, რის გამოც რეგიონთა დასახელებები დიაგრამაზე დატანილი არ არის.


45.4% შემთხვევაში დაზიანების სახით დაფიქსირდა ნაჭდვის არსებობა; 20.32%-ში – სხვადასხვა ინტენსივობით გამოხატული ჰიპერემია (სიწითლე), 15.58%-ში – სისხლნაჟღენთი. შემთხვევათა 10.7%-ში დაზიანებულებს აღნიშნებოდათ ჭრილობა; 5.74%-ში – დაჟეჟილობა და შემუპება; 0.57%-ში დაფიქსირდა სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა; 0.56%-ში – სხეულის ამა თუ იმ მიდამოს დამწვრობა, ხოლო 0.25%-ში – კიდურების მოტეხილობა. შემთხვევათა 0.89%-ში დაზიანების სახე მითითებული არ ყოფილა. აღნიშნული მონაცემები მოცემულია გრაფიკულად:



შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რეგიონების მიხედვით დაზიანებათა უპირატესი სახეები. მაგალითად, ნაჭდვი ყველაზე ხშირად გვხვდება თბილისში, ხოლო მინიმალურადაა დაფიქსირებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე, გურიის

რეგიონებში; სისხლნაყლენტების რაოდენობა მაღალია თბილისში, ასევე, ქვემო ქართლის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. აღნიშნული სახის დაზიანება მინიმალურია გურიაში და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. რაც შეეხება ჰიპერემიას, რომელიც, ძირითად შემთხვევაში, ახლად მიყენებულ დაზიანებებს ახასიათებს, მაქსიმალური რაოდენობით დაფიქსირებულია ქვემო ქართლში. ჭრილობების მაქსიმალური რაოდენობა, ასევე, ქვემო ქართლის რეგიონში გამოვლინდა, ხოლო მინიმალური რაოდენობა – აჭარაში. მოტეხილობის ყველაზე ხშირი ფაქტები აღწერილია იმერეთში, ხოლო 5 რეგიონში საერთოდ არ არის დაფიქსირებული. სხეულის ამა თუ იმ მიდამოს დაჟეჟილობა/შემუპების შემთხვევები თბილისის შემდეგ ყველაზე ხშირად დაფიქსირებულია სამეგრელო ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. სხეულის ზოგადი დაჟეჟილობის ფაქტებს ძირითადად ვხვდებით იმერეთის, კახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში. რაც შეეხება დამწვრობის კვალს, აღნიშნული ტიპის დაზიანება მრავლად გვხვდება თბილისის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის დმი-ებში შესულ პირთა ფიზიკური დათვალიერების დროს. დაზიანების ტიპს შედარებით უფრო ხშირად არ უთითებენ ქვემო იმერეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის დმი-ების თანამშრომლები.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა მოხსენებაში აღწერილი დაზიანებების სხეულზე ლოკალიზაციაზეც. როგორც შედეგების ანალიზმა აჩვენა, დაზიანებები, შემთხვევათა უმრავლესობაში, ლოკალიზებული იყო ზედა კიდურის მიდამოში (32.94%). სიხშირით შემდეგ ადგილზეა სახის მიდამო (27.46%). შემთხვევათა 15.89%-ში დაზიანება ლოკალიზებული იყო ქვემო კიდურზე; 8.98% – ზურგის, 4.37% – კისრის, 3.88% – მუცლის, 3.09% – გულმკერდის, 2.56% – ქალასარქველის და 0.26% – შორისისა და გენიტალიების მიდამოში. 0.57%-ში დმი-ის თანამშრომელთა მიერ დაზიანების ლოკალიზაციის კონკრეტიზაცია არ მომხდარა. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკულად:




რაც შეეხება დაზიანებათა ლოკალიზაციის რეგიონულ სპეციფიკას, ანალიზის შედეგებმა აჩვენეს, რომ ქალასარქველის, სახის, კისრის და ზურგის მიდამოში დაზიანებათა უმრავლესობა თბილისშია დაფიქსირებული; გულმკერდის, მუცლის, ზედა და ქვედა კიდურის და შორისისა და გენიტალიების დაზიანებების უმრავლესობა დაფიქსირებულია ქვემო ქართლის რეგიონში. გარდა აღნიშნულისა, თვალშისაცემია

ქალასარქველზე არსებული დაზიანებების სიმრავლე ქვემო ქართლის რეგიონში, სახის მიდამოში არსებული დაზიანებების სიმრავლე სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში; კისრის მიდამოში არსებული დაზიანებები – შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში; გულმკერდის დაზიანებები – კახეთში და აჭარის ავტონომიაში; მუცლის დაზიანებები – იმერეთის რეგიონში; ზურგის მიდამოს დაზიანებები – ქვემო ქართლის, იმერეთის და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონებში. ზედა და ქვედა კიდურების დაზიანებები, თბილისისა და ქვემო ქართლის რეგიონების გარდა, მრავლადაა დაფიქსირებული იმერეთის რეგიონში. რაც შეეხება შორისის და გენიტალიების ფიზიკურ დაზიანებას, აღნიშნული დაფიქსირებულია მხოლოდ თბილისის და ქვემო ქართლის რეგიონებში. როგორც ჩანს, სხვა რეგიონებში აღნიშნული მიდამოს დაზიანებებს, როგორც წესი, იგნორირებას უკეთებენ. რაც შეეხება დმი–ის თანამშრომელთა მიერ დაზიანების ლოკალიზაციის მიუთითებლობას, ყველაზე ხშირი ფაქტები ამ მხრივ გამოვლენილია თბილისში, შიდა ქართლში და გურიაში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების საკითხები. ექიმის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მხოლოდ თბილისის დმი–ებში. სხვა იზოლატორებში, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.


2010 წლის პირველ ნახევარში დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების 1040 შემთხვევა. ზემოთ აღნიშნული მიზეზით გამოძახებათა რაოდენობა პროპორციულადაა შემცირებული თბილისის დმი–ებში. გამოძახებათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებათა რაოდენობა მაქსიმალურია იმერეთის რეგიონში. მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შიდა ქართლისა და სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონებში. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ დაკავებულ პირთა ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა 55 შემთხვევაში (5.28%). გადაყვანათა რიცხვი

განსაკუთრებით მაღალია კახეთის რეგიონში და აჭარაში. სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ, შემთხვევათა 84%-ში, დაკავებულ პირებს ადგილზე გაეწიათ დახმარება. დაახლოებით 12% შემთხვევაში ექიმის მიერ გაცემული იქნა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები დაკავებულ პირთა ჯანდაცვით საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ექიმის რეკომენდაციები, არსებული ჩანაწერების მიხედვით, შესრულებულია 62% შემთხვევაში, დანარჩენ შემთხვევაში ექიმის მიერ გაცემულ რეკომენდაციას რაიმე სახის რეაგირება არ მოჰყოლია. 3.75% შემთხვევაში დაკავებულმა პირებმა უარი განაცხადეს სამედიცინო დახმარებაზე, ხოლო 7.69% შემთხვევაში, ჩანაწერის მიხედვით, საჭირო იყო სამედიცინო ღონისძიების გატარება, თუმცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ პაციენტს დახმარება არ გაეწია.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში იწარმოება სპეციალური სამედიცინო ჟურნალი, რომელიც ასახავს ინფორმაციას დაკავებული პირის მიმართ ექიმის მიერ სამედიცინო ღონისძიებების გატარების შესახებ. როგორც ამ წყაროდან ირკვევა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების ყველაზე ხშირი მიზეზია არტერიული ჰიპერტენზია და ნევროლოგიური პრობლემები. ნოზოლოგიური ჯგუფების სრული სპექტრი წარმოდგენილია გრაფიკულად:



მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ დმი-ში სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება საერთოდ არ დაფიქსირებულა. ზოგიერთი დმი-ის თანამშრომლის ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც სარეგისტრაციო წიგნის წაღება ხდება სამედიცინო დაწესებულებაში და იქ ივსება. სხვა შემთხვევებში, ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი ჩაკრულია სარეგისტრაციო წიგნებში. დმი-ების უმრავლესობა ინახავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ დატოვებულ გადამყვანსაც. ამ მხრივ სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული პრაქტიკა არსებობს.

რეკომენდაცია<sup>69</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს: ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილი იქნას სასწრაფო დახმარების ექიმების მიერ გაცემული სამედიცინო ხასიათის რეკომენდაციების (სტაციონირება, სპეციალისტის კონსულტაცია) სრულყოფილი და დაუყოვნებლივი შესრულება.

---

<sup>69</sup> დაზიანებების აღწერისა და სრულყოფილი ჩანაწერების შესახებ რეკომენდაციები იხ. ზემოთ, „1. მოპყრობა“.